www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 31 დეკემბერი, 2013 წელი. | №3440 (247) | ფასი 50 თეთრი

ფარცხალაძე არ გადაუყენებიათ - გადადგა

თიკა გურული

საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში გამოცხადებული სამართლიანობის აღდგენა ტერორისტებისა და ათასი ჯურის დამნაშავის გათავისუფლებით დაიწყო. დაიწყო და, „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის მოწინააღმდეგეთა და „ქართული ოცნების“ მომხრეთა საყოველთაო მოთხოვნის საფუძველზე, ყოფილ მაღალი თანამდებობის პირთა დაპატიმრებებით გაგრძელდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

უსუფაშვილი პრიორიტეტად ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას სახავს

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ წლის შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა. სპიკერი მთავარ პოლიტიკურ პრიორიტეტად ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიღწევის საკითხს ასახელებს. **„ამა თუ იმ საკითხის მიმართ ჩემი პოზიცია, ქმედებები თუ უმოქმედობანი, ძალიან ხშირად სწორედ ამ პრიორიტეტითაა განპირობებული. მზად ვარ, ბევრ საკითხზე უფრო მოქნილი ვიყო, რათა ქვეყანამ ამ უსერიოზულესი პოლიტიკური ამოცანის მიღწევა შეძლოს. ჩემი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, როგორც პოლიტიკოსის, როგორც „რესპუბლიკური პარტიის“ წევრის, როგორც საქართველოს მოქალაქის პრიორიტეტი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის საკითხს ექვემდებარება,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა საქართველოს უმთავრესი ამოცანაა და ამ მიმართულებით სახელმწიფომ თავიდან ბევრი ხიფათი უნდა აიცილოს. **„ეს ხიფათი უკავშირდება არა მხოლოდ ოკუპანტი სახელწიფოსგან მოსალოდნელ საფრთხეს, არამედ ქვეყნის შიდა პოლიტიკური პროცესების სათანადოდ წარმართვას, მოახლოებული არჩევნების სათანადოდ ჩატარებას, კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთიანობას და სიმტკიცეს, რაც ამ ამოცანის მისაღწევად არის აუცილებელი, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის ურთიერთობის ცივილიზებულად აწყობას,“** - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

თბილისის ჩავარდნილი ბიუჯეტი და უგულავას პროგნოზი

თბილისის საკრებულომ დედაქალაქის მერიის მიერ მომზადებული 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი ჩააგდო: პროექტის მიღებას 18-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა, 21 - წინააღმდეგ წავიდა, 3-მა - თავი შეიკავა.

29 დეკემბერს გამართულ კენჭისყრას რამდენიმესაათიანი მწვავე დებატები უძღოდა წინ. „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატები მიიჩნევენ, რომ ბიუჯეტის პროექტი საკმარისად გამჭირვალე არ იყო. როგორც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი ამბობს, ბიუჯეტის პროექტი „ნაციონალური მოძრაობის“ საჭიროებებზე იყო მორგებული. მისი თქმით, პარტიას ბიუჯეტით საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საშუალება არ უნდა მიეცეს.

სევდია უგრეხელიძე, რომელიც მერის მოვალეობას ასრულებს, აღნიშნავს, რომ დედაქალაქის მთავრობა საკრებულოსთან კონსტრუქციულად თანამშრომლობისა და მისი შენიშვნების გათვალისწინებისთვის მზად იყო, თუმცა საკრებულომ წინადადებების წარდგენა დააგვიანა.

ბიუჯეტის პროექტის ჩაგდების შემდეგ მერია უფლებამოსილია, გაწიოს სხვადასხვა ხარჯები, რომელიც, ყოველთვიურად, გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ხარჯების 1/12-ს არ უნდა აღემატებოდეს. როგორც ირაკლი შიხიაშვილი აღნიშნავს, ამ წესის თანახმად, მერიას, ახალი ბიუჯეტის მიღებამდე, არსებული პროექტების დასაფინანსებლად, დაახლოებით, 60 მლნ ლარის დახარჯვა შეუძლია.

საწინააღმდეგოს ამტკიცებენ თბილისის მთავრობის წარმომადგენელები.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სისხლიანი ტერაქტების სერია ვოლგოგრადში

ივა შილაკაძე

კვირას და ორშაბათს ვოლგოგრადში ზედიზედ ორი ტერაქტი მოხდა, რასაც მთლიანობაში 30 ადამიანზე მეტი შეეწირა, ხოლო 80-მდე დაიჭრა. ზოგი მათგანის მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

პირველი აფეთქება რკინიგზის სადგურ „ვოლგოგრადი 1“-ის შენობაში მოსკოვის დროით, დაახლოებით, 12:45 საათზე მოხდა. აფეთქების სიმძლავრე იყო 10 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტით. ტერორისტმა თვითნაკეთი ბომბი შენობაში ზურგჩანთით შეიტანა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ზაზას სეზონი



2014 - პარტიის ჩრდილში!



მერაბიშვილი მოსამართლემ 500 ლარით დააჯარიმა

ვანო მერაბიშვილი სასამართლოს შეურაცხყოფისთვის 500 ლარით დაჯარიმდა. მერაბიშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვა.

საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმის პროცესზე მოსამართლემ ხათუნა ხარჩილავამ განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ შესვენების დროს, როდესაც დარბაზში იმყოფებოდნენ მხარეები, ასევე სასამართლო სხდომის მდივანი და ბრალდებული მერაბიშვილი, ბრალდებულმა სხდომის მდივანს შეურაცხყოფა მიაყენა.

მოსამართლის თქმით, მერაბიშვილმა სხდომის მდივნის მისამართით უხამსი და ბილწი სიტყვები გამოიყენა.

მოსამართლის განმარტებით, სწორედ აქედან გამომდინარე, მერაბიშვილი სასამართლოს უპატივცემულობის გამო 500 ლარით ჯარიმდება. ამასთან, მერაბიშვილმა მოსამართლისგან გაფრთხილება მიიღო.

2013 წელს 70 ჟურნალისტი დაიღუპა

სულ მცირე, 70 ჟურნალისტი დაიღუპა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 2013 წელს, - ამ ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“ ავრცელებს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, 29 ჟურნალისტი სირიაში სამოქალაქო ომის გაშუქებისას დაიღუპა, 10 ჟურნალისტი ერაყში მომხდარ აფეთქებებს ემსხვერპლა, 6 ჟურნალისტი კი აგვისტოში ერაყში მომხდარი შეტაკებების დროს დაიღუპა.

ამასთან, „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ მიერ გავრცელებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ დანარჩენები კი კორუფციული სკანდალების, ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებული და სხვა რთული პრობლემების გაშუქებას ემსხვერპლნენ - რუსეთში, კოლუმბიაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, ბანგლადეშში, პაკისტანსა და ფილიპინებზე.

„შუა აღმოსავლეთი ჟურნალისტთა სასაკლაოდ იქცა. საერთაშორისო თანამეგობრობამ ზეწოლა უნდა მოახდინოს ამ ქვეყნების ხელისუფლებასა და შეიარაღებულ დაჯგუფებებზე, რათა მათ პატივი სცენ ჟურნალისტთა სამოქალაქო სტატუსს, ჟურნალისტთა მკვლელები კი გასამართლდნენ,“ - განაცხადა კომიტეტის ხელმძღვანელმა რობერტ მაჰონიმ.

ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ მიმდინარე წელს სირიაში 60 ჟურნალისტი გაიტაცეს, 30 მათგანი კი კვლავ დაკარგულად მიიჩნევა. საერთო ჯამში, სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, სულ მცირე, 63 ჟურნალისტია დაღუპული.

დავით საგანელიძე 2014 წლის დასაწყისში მთავრობაში ცვლილებებს არ გამორიცხავს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე არ გამორიცხავს, რომ 2014 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობაში ცვლილებები მოხდეს.

როგორც საგანელიძემ გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მას მიაჩნია, რომ ეს ცვლილებები ალბათ აუცილებელიც არის. თუმცა კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა მიმართულებებით შეიძლება განხორციელდეს, მას არ აქვს.

„მე არ მაქვს რაიმე კონკრეტული ინფორმაცია, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ცვლილებები მოხდეს. მიმაჩნია, რომ ეს ალბათ აუცილებელიც არის. ახალი სისხლი, ახალი ენერგია საჭიროა ყოველთვის და როტაცია აუცილებელია, მაგრამ ეს ხშირი არ უნდა იყოს. ეს სწორია, როცა ხდება, ვთქვათ, ორ წელიწადში,“ - განაცხადა საგანელიძემ.

მისივე თქმით, პრემიერის გადასაწყვეტია, მოხდება თუ არა ცვლილებები მთავრობაში.

„მაქვს ჩემი შეხედულებები, თუ რომელი მიმართულებით უნდა მოხდეს ცვლილებები, თუმცა ეს პრემიერის გადასაწყვეტია. აქედან გამომდინარე, ჩემი შეხედულებების ღიად დაფიქსირება, ვფიქრობ, არ იქნება მართებული, თუმცა თუ ცვლილებები დაიგეგმება, გუნდი შეჯერდება, რომელ უწყებასა ან რომელ სფეროში უნდა მოხდეს ცვლილება და შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული,“ - აღნიშნა საგანელიძემ.

უსუფაშვილი პრიორიტეტად ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას სახავს

პირველი გვერდიდან

უსუფაშვილი მიმდინარე აქტუალურ საკითხებს აფასებს და საუბარს ჯერ კიდევ მოქმედი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის საქმით აგრძელებს.

„ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, გერმანიაში ნასამართლობის გამო ოთარ ფარცხალაძეს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ალბათ არ დავნიშნავდი, რადგან ვიცი, ეს რა მიზნებისთვის იქნებოდა გამოყენებული,“ - თქვა დავით უსუფაშვილმა.

როგორც მან დასძინა, თანამდებობაზე უკვე დანიშნულ ფარცხალაძეს კი ამ ფაქტის გამო არ გაათავისუფლებდა. **„თუ დავნიშნეთ და მივიჩნიეთ, რომ ფარცხალაძის დანიშვნა იმ დონის მორალური პრობლემა არ არის, რომ თანამდებობა ვერ უნდა დაიკავოს, მაშინ ამ მიზეზით მისი თანამდებობიდან გადაყენება არასწორი ნაბიჯი იქნება,“** - თქვა დავით უსუფაშვილმა.

რაც შეეხება ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ მასზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტზე გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა, უსუფაშვილი იმ პასუხების დროულობით და სისრულით, რაც ვანო მერაბიშვილის მიერ დასმულ კითხვას მოჰყვა, კმაყოფილი არ არის.

უსუფაშვილის თქმით, ვანო მერაბიშვილის პირველი განცხადებიდან საკმარისი დროა გასული იმისთვის, რომ საზოგადოებას იმ ორგანოების მხრიდან, რომლებიც აღნიშნულ განცხადებაზე მოკვლევას აწარმოებენ, ძალიან ზუსტი და ამომწურავი პასუხი მიეღო. უსუფაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ კითხვებს პასუხები მალე გაეცემა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დასძენს, ხელისუფლება პროპაგანდისტული შეტევებისთვის მზად უნდა იყოს. **„მერაბიშვილს, უგულავას, ახალაიას იმხელა რაღაცას ვედავებით, მათ წინააღმდეგ იმხელა ბრალდებებია წარდგენილი, რომ ისინი იმის მეათედის ჩამდენებიც რომ იყვნენ, მათგან ათჯერ მეტი ასეთი პროპაგანდისტული შეტევაა მოსალოდნელი, მათ შორის ფარცხალაძის და სხვების მიმართაც,“** - აღნიშნა უსუფაშვილმა.

კიდევ ერთი თემა, რომელზეც უსუფაშვილმა ყურადღება შეაჩერა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების საკითხი იყო. უსუფაშვილის თქმით, პარლამენტმა სამეურვეო საბჭოს 9 წევრიდან 3 უკვე აირჩია. როგორც სპიკერი აღნიშნავს, არსებობს ალბათობა და შანსი იმისა, რომ მათ კიდევ 3 წევრი დაემატოს.

„თუ წარმდგენი სუბიექტები თავიანთი უფლებით ისარგებლებენ და კომისიის მიერ შერჩეული 27 კანდიდატიდან პარლამენტში სხვა ან იმავე კანდიდატებს წარადგენენ, ჩატარებული კონკურსის ფარგლებში პარლამენტი ახალ კანდიდატურებს კენჭს უყრის. კონკურსის შედეგად სამეურვეო საბჭოს 6 წევრის არჩევა თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პარლამენტი ვის დაუჭერს მხარს და ვის არა, ამის მტკიცება ძნელია. იმ სუბიექტებს, რომელთა მიერ დასახელებულ კანდიდატებს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა, კანდიდატების წარდგენის უფლება მესამედაც ექნებათ,“ - განმარტავს უსუფაშვილი.

როგორც უსუფაშვილი აღნიშნავს, ახალი კონკურსის გამოცხადება გარდაუვალია, ვინადან „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში კიდევ, მინიმუმ, 3 ადგილი ვაკანტურია. ამის მიზეზი ის არის, რომ უფლებამოსილმა პირებმა პარლამენტში კანდიდატურები არ წარადგინეს. დავით უსუფაშვილის ვარაუდით, ახალი კონკურსი იანვრის ბოლოს გამოცხადდება.

როგორც უსუფაშვილი ამბობს, კანონმა ვაკანტური ადგილის დარჩენის შემთხვევაში ახალი კონკურსის ჩატარების საკითხი გაითვალისწინა. **„მოვისმინე შეფასება, რომ კანდიდატების წარდგენა თითქოს უმრავლესობის და უმცირესობის არა უფლება, არამედ ვალდებულება იყო. მოდით, რეალურ ცხოვრებაში წინ ერთი ნაბიჯი გადავდგათ და წარმოვიდგინოთ, როგორ უნდა აიძულო საპარლამენტო უმრავლესობის 6 ფრაქცია, რომელთაგან თითოეული რამდენიმე კანდიდატს ასახელებს, 3 კანდიდატზე შეთანხმდნენ,“** - დასძენს უსუფაშვილი.

დავით უსუფაშვილი სახელმწიფო თანხების ხარჯვის მიზანშეწონილობის საკითხსაც შეეხო. **„ჩვენ კი არ უნდა გავღიზიანდეთ იმის გამო, რატომ სვამს ვინმე კითხვას - სჭირდებოდა თუ არა თუნდაც მთავარ პროკურორს 170 ათას ლარად ღირებული ახალი მანქანა, არამედ ამაზე მკაფიო პასუხია საჭირო. თუ ეს სპეციალური ჯავშანმანქანაა, რომელიც მთავარ პროკურორს უსაფრთხოებისთვის სჭირდება, მაშინ შეიძლება, კიდევ ერთი ამდენია საჭირო, რომ უსაფრთხოება მართლაც გარანტირებული იყოს. თუ ეს დამატებითი კომფორტია, მაშინ აქ სხვა ტიპის კითხვები უნდა დაისვას,“** - ამბობს დავით უსუფაშვილი. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტი, მის ხელთ არსებული ბერკეტებით, ამ ტიპის ხარჯების ძალიან სერიოზულ შემოწმებას აპირებს.

სპიკერმა ყურადღება პარლამენტში შექმნილ ვითარებაზეც გაამახვილა. **„გეტყვით, რომ პარლამენტშიც ამ 2-3 დღის წინ სერიოზული მოძრაობა იყო. ოპოზიციის მხრიდან ინიცირებულ საკითხს, სამწუხაროდ, უმრავლესობის ცალკეული წარმომადგენლებიც თითქმის აჰყვნენ. საქმე ის არის, რომ პარლამენტის ბიუჯეტიდან ნახევარი მილიონ ლარამდე დაუხარჯავი დარჩა, ამიტომ დასვეს საკითხი, ხომ არ ჯობია, მე-13 ხელფასად პარლამენტის წევრებზე გავანაწილოთო. ეს საკითხი ჩემ წინაშე ოფიციალურად დააყენეს. რა თქმა უნდა, უარი მიიღეს. იმ ვითარებაში, როდესაც საბიუჯეტო საკითხებში გარკვეული პრობლემებია - წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი დაგეგმილზე ნაკლები აღმოჩნდა - დამოკიდებულება, რომ ფული მაქვს და მოდი დავხარჯო, რათა ხაზინამ უკან არ წაიღოს, მიუღებლად მიმაჩნია,“** - თქვა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყველაზე დიდი დრო საკანონმდებლო ცვლილებებს დაუთმო. უსუფაშვილმა მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ვადის 2 წლის გადაწევის შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ თუ პარლამენტი მთავრობის ინიციატივას არ გაიზიარებდა, ეს სამართალდამცავ სიტემაში არეულობას გამოიწვევდა. უსუფაშვილის თქმით, ამოქმედების ვადის ისე გადაწევა, რომ შემდგომი მოქმედების გეგმა არ დაერთოს, იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ნორმა 2 წლის შემდეგაც არ შევიდეს ძალაში. ამიტომ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, მთავრობა მარტისთვის ან სამოქმედო გეგმას წარმოადგენს, ან ამ ნორმის ამოქმედებაზე საბოლოოდ უარს იტყვის შესაბამისი არგუმენტაციით.

ახლად დამტკიცებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიზნებზე საუბრისას კი დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ კომისია მუშაობას იანვრის მე-2 ნახევრიდან შეუდგება, პროექტს კი პარლამენტს პირველი სექტემბრისთვის წარუდგენს. **„კომისიაში 60-მდე წევრია გაერთიანებული ბალანსის იმ მოდელით, რომელის შესახებაც გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ოქტომბერში მივიღეთ. საკონსტიტუციო კომისიაში სამუშაო ჯგუფები შეიქმნება, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებებით იმუშავებენ და მერე ერთიან ტექსტს მოეყრება თავი,“** - თქვა უსუფაშვილმა. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, საკონსტიტუციო კომისიის გარდა, მრჩეველთა საბჭოს შექმნაც იგეგმება.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მრჩეველთა საბჭოში სხვადასხვა პროფესიის ბევრ წარმომადგენელს მიიწვევენ. **„კონსტიტუცია მხოლოდ იურისტების საქმე არ არის. მეტიც, იურისტების საქმე არის მხოლოდ ბოლო ეტაპზე, როცა ზუსტი იურიდიული ფორმულირებაა მოსაძებნი. კონსტიტუცია ეს არის დოკუმენტი სახელმწიფოს შესახებ, სახელმწიფო კი რთული და კომპლექსური თემაა, აქ საჭირო არიან ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, მართვის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და ა.შ. ბევრი ადამიანის ჩართულობაა საჭირო, ეს კი მიგვიყვანს იმ შედეგამდე, როცა თითოეულ სიტყვას თავისი დატვირთვა ექნება,“** - აღნიშნა უსუფაშვილმა.

უსუფაშვილი პარლამენტის ადგილსამყოფელის შესახებ დასმულ კითხვასაც პასუხობს და აღნიშნავს, რომ საგაზაფხულო სესია ქუთაისში გაიხსნება. მისი ინფორმაციით, თბილისში მდებარე პარლამენტის ყოფილ შენობაში კი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ჯერ-ჯერობით ბევრი ტექნიკური სამუშაოა ჩასატარებელი. **„კომპანია SONY-ს წარმომადგენლებს, რომლებიც პარლამენტის ყოფილი შენობის დარბაზების ტექნიკურ აღჭურვას ახორციელებენ, დავუსახე ამოცანა - როგორ შეიძლება, ხმის მიცემის ღილაკმა ისე იმუშაოს, რომ ასანთის ღერით მისი ჩაჭედვა გამოირიცხოს,“** - თქვა უსუფაშვილმა. როგორც მან განმარტა, თუ ხმის მიცემის ღილაკი ასანთის ღერით არის ჩაჭედილი, პარლამენტის წევრი, რომელიც თავის ადგილზე არ ზის, ხმას მაინც აძლევს. სპიკერის თქმით, ამ პრობლემიდან გამოსავლის მოსაძებნად კომპანია SONY-ს 2 კვირა დასჭირდა.

საპარლამენტო ოპოზიციასთან ურთიერთობის შესახებ დასმულ კითხვას უსუფაშვილი პარლამენტარების მიმართ თავისი პერსონალური დამოკიდებულების აღწერით პასუხობს. **„პარლამენტის წევრის მანდატი ჯიბეში 150 ადამიანს უდევს, აქედან ერთი მიყვარს,“** - აღნიშნა უსუფაშვილმა და განაგრძო, - **პარლამენტის წევრებიდან 9-10 ადამიანი 20 წელია, ჩემი თანამებრძოლია და მათთან ერთად კიდევ 25 წელი პოლიტიკურ ცხოვრებას ვაპირებ. 50-60-ს დიდი ხანია, ვიცნობ და ერთად დიდი პერიპეტიები გვაქვს გავლილი. მზად ვარ, მათთან ერთად ვიცხოვრო. 20 დეპუტატი „ქართული ოცნების“ პერიოდში გავიცანი, ისინი ძლიან საინტერესო, პატივსაცემი ხალხია და მეგობრები ვხდებით. კიდევ არის 17 დეპუტატი, რომელთა დანახვასაც მირჩევნია, ჟურნალისტებთან ერთად დავჯდე და მათ კითხვებს შუაღამემდე ვუპასუხო. აგრეთვე, არის პარლამენტის 12-13 წევრი, რომელთა შესახებაც სხვა რამის თქმაც შემიძლია,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი და განაგრძობს, - **მაგრამ, პარლამენტში ამ კრიტერიუმის მიხედვით ვერ მოვიქცევი... არის ხალხი, ვინც ვინმესთან ერთად ტრაპზე დამინახავს და ჰგონიათ, რომ ყველაზე საშინელი ცოდვა ჩავიდინე. ჩემი აზრით კი, ცოტა წინ უნდა წავიდეთ, მეტი დავინახოთ, უფრო სიღრმეში ჩავიხედოთ. სანამ ეს ხალხი პარლამენტშია, მათთან ურთიერთობა მექნება. ამას გინდათ, კოჰაბიტაცია დავარქვით, გინდათ - ინსტიტუტების მშენებლობა, მაგრამ ეს ერთადერთი სწორი გზაა.“**

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ფარცხალაძე არ გადაუყენებიათ - გადადგა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ყველაზე ხმაურიანი ჯერ ბაჩო ახალაია იყო, შემდეგ - ივანე მერაბიშვილი. ეს ის შემთხვევაა, როცა ამომრჩეველი არც ლარის კურსს დაგიდევს და არც ამ ლარის მსყიდველუნარიანობას. მას სისხლი სწყურია - ახალაიასი, რომელსაც სასამართლომ დანაშაული თითქმის ვერ დაუმტკიცა, ისევე როგორც მერაბიშვილს, რომელსაც სასამართლო დანაშაულს ისევე ვერ დაუმტკიცებს, როგორც გიგი უგულავას. როცა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებსა თუ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს დღევანდელი ხელისუფლებისთვის სასურველი დანაშაულები ვერ უმტკიცდებათ, ამას პროკურატურის თანამშრომლების არაპროფესიონალიზმს აბრალებენ. ახლა ვეღარ ვიხსენებ, რას დაბრალდა ნატო-ს გენერალური მდივნის საქართველოში სტუმრობისას მერიის თანამშრომელთა მთელი კოჰორტის დაპატიმრება-გათავისუფლება, თუმცა, ზუსტად მახსოვს, რომ ამაზე ხელმომწერი ოთარ ფარცხალაძე იყო. ეს მის მოღვაწობაში ყველაზე გახმაურებულ ქმედებად აღიქმებოდა, რომ არა ნაციონალების გენერალური მდივნის, ყოფილი პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ციხიდან სწორედ რომ ფარცხალაძესთან მიიყვანეს განსაკუთრებული ჩვენებების გამოსაძალად.

ვანო მერაბიშვილს არა თუ დაუჯერეს, სამართლიანობის აღმდგენები პროცესუალურ ნორმებსაც გადასცდნენ და პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრემიერის ჩვენების გამო გამოძიებაც კი არ დაიწყეს. ეს ისევ იმ ფარცხალაძის გადაწყვეტილება გახლდათ, რომელსაც პატიმარი მერაბიშვილი ზეწოლაში ადანაშაულებდა და რომელიც მოგვიანებით თავად აღმოჩნდა ყოფილი მსჯავრდებული.

საქართველოს კანონმდებლობაში, ვგონებ, არაფერი წერია მთავარი პროკურორის შესაძლო ნასამართლეობის შესახებ. ანდა, რატომ უნდა ეწეროს, რომ მთავარი სახელმწიფო ბრალმდებელი თავად არ უნდა იყოს ნასამართლევი? ეს ხომ თავისთავად, დაუწერლად იგულისხმება. თუნდაც ეს გაუგებრობად მონათლოს პრემიერ-მინისტრმა და თავის მიერ დანიშნული კადრის ახალგაზრდულ ასაკს მიაწეროს, თბილისის რომელიღაც (აკრედიტებული თუ არა?) ინსტიტუტდამთავრებული ადამიანისთვის მთავარი სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციის მინიჭება ხელისუფლების მხრიდან უპასუხისმგებლობაა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ.

გუშინ ოთარ ფარცხალაძე გადადგა. იგი არავის გადაუყენებია თანამდებობიდან - არც იმისთვის, რომ მისი უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ნამდვილობა ეჭვს იწვევს; არც იმისთვის, რომ გერმანიის სამართალდამცველებმა მსჯავრი დაადეს, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც აღიარა; არც იმ მიზეზით, რომ სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს სახელმწიფოს იმიჯი შელახა გაურკვეველი დაპატიმრებებით.

იგი გადადგა. ოფიციალურად ჰქვია, რომ - საკუთარი ინიციატივით.

„ბოლო დროს საზოგადოებაში დასმული კითხვების გამო, რომლებიც გაჩნდა ჩემს ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, თავს ვალდებულად ვთვლი, პატივი ვცე და გავითვალისწინო საზოგადოების აზრი და დავტოვო მთავარი პროკურორის თანამდებობა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სამართლიანობის დამკვიდრების პროცესი და მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ჩემს ყოფნას არ გააჩნია სამართლებრივი პრობლემები, არ მინდა, ეჭვქვეშ დადგეს იმ საქმეების გამოძიების ლეგიტიმაცია, რომლებსაც ამ დროისთვის აწარმოებს მთავარი პროკურატურა. გარდა ამისა, ჩემი თანამდებობაზე ყოფნით არ მინდა, ჩრდილი მიადგეს პრემიერ-მინისტრს და იმ პოლიტიკურ ძალას, ვისთვისაც მთავარია ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება.

მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და მთელ მთავრობას, რომლებთან თანამშრომლობაც ჩემთვის დიდი პატივი იყო.

მე მრავალი წელი ვემსახურე ჩემს ქვეყანას, ახლაც მზად ვარ გავაგრძელო საქმიანობა ნებისმიერ პოზიციაზე და ერთგულად ვემსახურო ჩემს სამშობლოს,“ - ნათქვამია ოთარ ფარცხალაძის განცხადებაში.

ამ განცხადების წაკითხვის შემდეგ, მინდა, შემოგთავაზოთ, რომ პროკურატურის ოფიციალურ საიტზე ოთარ ფარცხალაძის ბიოგრაფიას გადახედოთ - გაოგნდებით, რამდენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უმუშავია. კონკრეტულად რომელზე? იქ ამის შესახებ თითქმის არაფერი წერია.

დაბოლოს, როდესაც მთავარი პროკურორის ვაკანსიის დასაკავებლად ოთარ ფარცხალაძემ ანკეტა შეავსო, იყო იქ შეკითხვა ნასამართლეობის შესახებ? რა პასუხი გასცა ფარცხალაძემ? გადამდგარი პროკურორის სიცრუეზე აღძრავს ახალი პროკურორი საქმეს?

თბილისის ჩავარდნილი ბიუჯეტი და უგულავას პროგნოზი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თბილისის მერის მოადგილის პაპუნა პეტრიაშვილის შეფასებით, 2014 წლის ბიუჯეტის ჩაგდებით საკრებულომ თბილისი ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. როგორც პეტრიაშვილი ამბობს, თუ ბიუჯეტი იანვარში არ დამტკიცდება, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები იანვარში უხელფასოდ დარჩებიან. მისი ინფორმაციით, ამ წლის ხარჯები მეეზოვეების იანვრის ხელფასების დასაფინანსებლად საკმარისი არ იქნება.

პეტრიაშვილი ყურადღებას სხვა მიმართულებებზეც ამახვილებს.

„იანვარში დასახარჯი თანხების განსაზღვრაზე მუშაობა უკვე დავიწყეთ. ბევრი პრობლემა ჩნდება. ეს, პირველ რიგში, მსხვილ პროექტებს ეხება, მათ შორის, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დაფინანსებას, ასევე კომუნალურ ვაუჩერებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თბილისი 1 იანვრის შემდეგ გაჩერდება. მოქალაქეებს ყოველდღიურ სერვისებს მივაწდვით, მაგრამ სხვადასხვა პროგრამებში პრობლემები იქნება,“ - აღნიშნა პეტრიაშვილმა.

თბილისის მერის მოადგილე გაკვირვებულია იმით, რომ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა საკრებულოს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. **„მინისტრმაც მიზეზად ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა დაასახელა. ჩვენ საკრებულოს ყველა მუხლის შესახებ აბსოლუტურად დეტალური ინფორმაცია მივეცით. რეგიონული განვითარების მინისტრმა ალბათ კარგად იცის ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. თუ მინისტრი ერთ ქალაქს ან ერთ რაიონს მაინც გვაჩვენებს, სადაც ბიუჯეტი უფრო გამჭვირვალეა, ჩვენ გადავხედავთ ბიუჯეტს. ერთ-ერთი შენიშვნა საგზაო სამუშაოების გაუმჭვირვალობას ეხებოდა. ჩვენ ამ სამუშაოებისთვის 52 მილიონს ვხარჯავთ. მივეცით თითოეული ქუჩის თითოეული მისამართი, სად რა სამუშაოები განხორციელდება. შენიშვნები გამოითქვა იმის გამო, რომ დათვლილი არ იყო, რამდენ კვადრატულ მეტრზე კეთდებოდა სამუშაოები. ჩვენ ამის დასათვლელადაც მზად ვიყავით, თუმცა საკრებულომ უარი თქვა. თავად რეგიონული განვითარების სამინისტროს საგზაო სამუშაოების შესახებ მხოლოდ ერთაბზაციანი განმარტება აქვს გაკეთებული,“** - აღნიშნა პეტრიაშვილმა.

თავად დავით ნარმანიას თქმით კი, თბილისის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა იმას არ ნიშნავს, რომ დედაქალაქში სხვადასხვა ღონისძიებები არ დაფინანსდება. **„დაფინანსდება ყველაფერი, რის წესსაც საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს. ამიტომაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ, ამ შემთხვევაში - მერიამ, ბიუჯეტი გამჭვირვალე უნდა გახადოს. იმედი მაქვს, რომ გამჭვირვალე ბიუჯეტის წარმოდგენის შემთხვევაში მას საკრებულო შემდეგი მოსმენით მიღებს,“** - აღნიშნა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება საკრებულოს გადაწყვეტილებას, ნარმანიას თქმით, თბილისის ბიუჯეტის მიმართ საკრებულოს სერიოზული კითხვები ჰქონდა, რაც ლეგიტიმურია: **როცა ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა და მის მიმართ კითხვები არსებობს, საკრებულოს უფლებამოსილება აქვს, დოკუმენტი არ დაამტკიცოს.** კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად, თუ საკრებულო 2014 წლის 11 მარტამდე ბიუჯეტს არ დაამტკიცებს, პრეზიდენტს მისი დათხოვნა შეეძლება.

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძის შეფასებით, დიდია ალბათობა, რომ თბილისის ბიუჯეტი კიდევ რამდენჯერმე ჩავარდეს.

გულიკო ზუმბაძე მერიას მიმართავს, 2-3 კვირის განმავლობაში დაიწყოს მუშაობა საკრებულოს ფრაქციებთან და კომისიებთან, რათა პროექტში საკრებულოს შენიშვნები ასახოს.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ჩავარდნას „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან გამოეხმაურა გიგი უგულავა, რომელსაც თბილისის მერის უფლებამოსილება რამდენიმე დღის წინ შეუჩერდა. **„2014 წელს თბილისი ბიუჯეტის გარეშე ხვდება და ამაზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ირაკლი შიხიაშვილ-ღარიბაშვილი იღებს. მინდა, საზოგადოებას ვაუწყო, რა წაართვეს დღეს ამ გადაწყვეტილებით თბილისელებს „ოცნების მთავრობამ“ და უმრავლესობამ: ახალი კომფორტული ავტობუსები და მათ შესყიდვას არსებითი საფრთხე შეექმნება; საფრთხის ქვეშ დადგა სასწრაფოს ფუნქციონირება, ტრანსპორტისა და სხვა შეღავათები, უფასო სასადილოები სოციალურად დაუცველებისთვის. შესაძლოა, შეფერხებები იყოს კომუნალური ვაუჩერების გაცემისას,“** - აღნიშნა უგულავამ.

გიგი უგულავას თქმით, შეფერხების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ისეთი საერთაშორისო ვალდებულებები, როგორიც არის ოლიმპიადის მოსამზადებელი სამუშაოები და აქაც სერიოზული პრობლემაა, რადგან ვადები შეზღუდულია. გარდა ამისა, უგულავა აღნიშნავს, რომ შეფერხდება შემოერთებული სოფლების - სულ, 9 ათას 900 ოჯახის წყალმომარაგების სამუშაოების ჩატარება. ვერ გამაგრდება ავარიული სახლები და ხიდები, ვერ აშენდება ახალი საბავშვო ბაღები.

„ეს არასრული ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომლებიც შეიძლება, საკრებულოს გადაწყვეტილებას მოჰყვეს. აშკარად ჩანს, რომ ეს პოლიტიკური დაკვეთაა. საკრებულოს უმრავლესობას შენიშვნები ჰქონდა ბიუჯეტის პროექტის მხოლოდ 2 პროცენტის მიმართ და ეს წერილობით დადასტურებულია,“ - აღნიშნა უგულავამ.

უგულავა მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარზეც საუბრობს. **„თუ ბიუჯეტი ვერ დამტკიცდება, საკრებულოს და მერის მოვალეობის შემსრულებლის დათხოვნის უფლება ექნებათ. შემდეგ კი ღარიბაშვილი თბილისში პირდაპირ საპროკურორო მმართველობას გამოაცხადებს (ბუნებრივია, გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ). ცხენის წელიწადი მოდის და ღარიბაშვილი თბილისის ობერ-პროკურორად ივანიშვილის პონის (ასე მოიხსენებს გიგი უგულავა მერობის მომავალ კანდიდატ დავით ნარმანიას) პირდაპირ დანიშვნას ადვილად შეძლებს. არჩევნებამდე სამი თვით ადრე მას ის უფლებამოვალეობა დაეკისრება, რომელიც თბილისის არჩეულ მერს და თბილისის არჩეულ საკრებულოს აკისრია. ეს არ არის მოდელირებული ისტორია, მაგრამ არსებული ქმედებებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ თბილისი თვითმმართველობის გაუქმებამდე მივიდეს,“** - აღნიშნავს უგულავა.

საკუთარი ინფორმაცია

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განვლილი წელი შეაჯამა

„ხელისუფლებას სერიოზული ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ მოსამართლეებზე ზეწოლა მოახდინოს, - ამის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა წლის საქმიანობის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, აღნიშნული მექანიზმი გამოიხატება მოსამართლეთა სამი წლის ვადით დანიშვნაში.

„მოსამართლეთა სამი წლით დანიშვნა იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ხელში აქვს სერიოზული ბერკეტი, მექანიზმი, რათა მოსამართლეებზე ზეწოლა მოახდინოს. ეს ზუსტად ასე უნდა განვიხილოთ, რადგან სამი წლით დანიშნულ მოსამართლეებზე ამ პერიოდის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან მონიტორინგი და კონტროლი უნდა განხორციელდეს. ეს ნიშნავს, რომ არის ბერკეტი, რომლითაც ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცდებიან, მოსამართლეებზე გარკვეული ზეგავლენა იქონიონ - სულ მცირე, იმ მოსამართლეებზე, რომლებიც სამი წლით არიან დანიშნულები,“ - განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, ზეწოლის ბერკეტი შესაძლოა, ის იყოს, რომ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეებს უვადოდ დანიშვნის პრობლემა შეექმნათ.

„როცა სამი წლის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის საკითხი დღის წესრიგში დადგება, ეს შეიძლება არ მოხდეს, რადგან მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სულ მცირე, 10 ხმა. საბჭოში მოსამართლე წევრები კი მხოლოდ 9 ვართ, ანუ აუცილებლად გვჭირდება ერთი ხმა იმ წევრებისგან, რომლებიც პარლამენტის უმრავლესობამ დანიშნა. ეს შეიცავს ყველაზე დიდ საფრთხეს, რაც სამი წლით დანიშნულ მოსამართლეებს ემუქრებათ და ეს ყოველმხრივ ცუდ გავლენას ახდენს იმ მოსამართლეებზეც, რომლებიც 10 წლით არიან დანიშნულები, მაგრამ უფლებამოსილების ვადა უახლოეს მომავალში ეწურებათ,“ - აღნიშნა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეფასებით, საფუძველს მოკლებულია პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მთელი წლის განმავლობაში კონკრეტულ მოსამართლეებზე ზეწოლას ახორციელებდნენ.

„მე ვერ მივიღებ ამ პრეტენზიას, რადგან შედეგი აჩვენებს, რა და როგორ იყო. შემიძლია, დავასახელო რამდენიმე კონკრეტული საქმე, როდესაც სასამართლომ გაიზიარა და უფრო მეტად სარწმუნოდ მიიჩნია პროკურატურის მტკიცებულებები და გარკვეული ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა რამდენიმე ყოფილ თანამდებობის პირს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იყვნენ. ასე რომ, ეს განცხადება ნამდვილად საფუძველს მოკლებულია,“ - განაცხადა კუბლაშვილმა.

მისივე განმარტებით, **„ყველამ დავინახეთ, მთელი წლის განმავლობაში ვისგან იყო ზეწოლები, მათ შორის ღია სატელევიზიო ეთერითაც.“**

„როცა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, ის, პირველ რიგში, დამოუკიდებელი უნდა იყოს სწორედ ხელისუფლებისგან, საიდანაც მოდის ყველაზე დიდი საფრთხე დამოუკიდებლობის ხელყოფისთვის. როგორ ფიქრობთ, მთავრობის წევრები რომ გამოდიან და მოსამართლეების გვარებს ასახელებენ, აფრთხილებენ და ამტკიცებენ, რომ ამა თუ იმ მოსამართლეს ესა თუ ის გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო, არის თუ არა ეს ზეწოლა? - არის. ასეთი ფაქტი უამრავი იყო,“ - დასძინა კოტე კუბლაშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ კონკრეტულ მოსამართლეებზე მთელი წლის განმავლობაში ზეწოლას ახდენდა.

„ჩვენ სასამართლო გავათავისუფლეთ ზეწოლისგან, მაგრამ სამწუხაროდ, მთელი წლის განმავლობაში მომდიოდა ინფორმაციები, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამა თუ იმ მოსამართლეზე, სხვადასხვა მეთოდებით, ზეწოლას ახდენდა. მე მომდიოდა ხმები, რომ ზეწოლის მცდელობები იყო „ნაციონალური მოძრაობის“ გამოკვეთილი ლიდერებისგან. არ მინდა, სახელები და გვარები ვთქვა, მაგრამ კონკრეტულ საქმეებზე იყო საუბარი, კონკრეტულ საქმეებში იყო ჩარევის მცდელობა,“ - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

სალვადორში ვულკანის ამოფრქვევის გამო ათასი ადამიანის ევაკუირება მოხდა

სალვადორის აღმოსავლეთით ვულკანის ამოფრქვევის გამო ათასი ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი სახლი დაეტოვებინა. ადგილობრივები ჰყვებიან, რომ ძლიერი აფეთქების ხმა გაიგეს, ამის შემდეგ კი ჩაპარასტიკის ვულკანმა ფერფლის და კვამლის გამოყოფა დაიწყო. ხელისუფლების ინფორმაციით, დაშავებულები არ არიან. ყველა იმ ადამიანის ევაკურება მოხდა, რომელთა სახლებიც ვულკანთან 3 კმ-ს რადიუსში მდებარეობს. მთლიანად იმ რაიონში, სადაც ვულკანი ამოიფრქვა, დაახლოებით, 5000 ადამიანი ცხოვრობს. სალვადორის ხელისუფლება სან-მიგელის პროვინციაში არსებულ ვითარებას 13 დეკემბრიდან აკვირდებოდა - მას შემდეგ, რაც ვულკანის გააქტიურება შენიშნეს. სალვადორში ოცზე მეტი აქტიური ვულკანია. უკანასკნელად ვულკან ჩაპატასტიკის ამოფრქვევა 1976 წელს მოხდა.

მდიდარი ფრანგების შემოსავლის 75 პროცენტი დაიბეგრება

საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაღალი შემოსავლის მქონე პირებს ბიუჯეტში მათი შემოსავლის სამი მეოთხედის შეტანა მოუწევთ. ერთი წლის წინ პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის წინადადება, რომ ბიუჯეტში კერძო პირების შემოსავლის სამი მეოთხედი შესულიყო, კონსტიტუციურმა სასამართლომ ქვეყნის უმთავრეს დოკუმენტთან შეუსაბამოდ გამოცხადა. თუმცა, მთავრობამ შემდეგ პრეზიდენტის დადგენილება შეცვალა და საკუთარი თანამშრომლების გადასახადების გადახდა დამქირავებლებს დააკისრა. 75-პროცენტიანი ზღვარი იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ თანამშრომლის ხელფასი წელიწადში ერთ მილიონ ევროს აღემატება. უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, 75-პროცენტიანი ზღვარი დროებითია და იმ ფიზიკური პირების შემოსავლებზე ვრცელდება, რომლებმაც შემოსავალი 2013 მიღეს და დამდეგ 2014 წელს მიიღებენ. ინფორმაციით, ამ ზომების წინააღმდეგ ფრანგული საფეხბურთო კლუბები გამოვიდნენ, რომლებმაც აღნიშნულის გამო ცოტა ხნის წინ გაფიცვაც მოაწყვეს. კლუბების წარმომადგენლების თქმით, სასამართლოს დადგენილებამ, შესაძლოა, ქვეყნიდან „ვარსკვლავი“ ფეხბურთელების მასობრივი გადინება გამოიწვიოს, რომლებიც მაღალ ხელფასს იღებენ. მაგალითად, „პარი სენ-ჟერმენის“ კლუბში ათი მოთამაშე, კონტრაქტის მიხედვით, ერთ მილიონ ევროზე მეტ შემოსავალს იღებს. ახალი დადგენილების მიხედვით, ისინი იძულებულები გახდებიან, გადასახადების სახით თავიანთი შემოსავლების სამი მეოთხედი გადაიხადონ. ამ ფეხბურთელებს შორის არის თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩიც, რომელიც შვედეთის მოქალაქეა.

ერდოღანს „კორუფციული სკანდალის“ არ ეშინია

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა კვირას პირობა დადო, რომ კორუფციული სკანდალი მას ისევე ვერ დაამხობს, როგორც ეს მის წინააღმდეგ ზაფხულში მიმდინარე ანტისამთავრობო გამოსვლებმა ვერ მოახერხა. ერდოღანმა თავისი ოპონენტები თურქეთის დასუსტების მცდელობაში დაადანაშაულა, რომლის ეკონომიკაც უსწრაფესად იზრდება და, მისი 11-წლიანი მმართველობის დროს, მტკიცე საგარეო პოლიტიკაც გააჩნია. 17 დეკემბერს კორუფციისა და მექრთამების ბრალდებით სამი მოქმედი მინისტრის ვაჟები დააკავეს. სამივე მინისტრმა თანამდებობა დატოვა. ზაფხულში კი გეზის პარკში სავაჭრო კომპლექსის წინააღმდეგ ეკოლოგების აქცია ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაიზარდა, სადაც პრემიერის გადადგომას მოითხოვდნენ. გამოსვლების დროს დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის დაპირისპირებას შვიდი ადამიანი ემსხვერპლა.

რუსეთმა და ყაზახეთმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საერთო სისტემა შექმნეს

რუსეთმა და ყაზახეთმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი, რეგიონული სისტემა შექმნეს. შესაბამის შეთანხმებას ხელი 2013 წლის 30 იანვარს ასტანაში მოეწერა; 20 დეკემბერს კანონი რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დაამტკიცა, 25 დეკემბერს კი ფედერაციის საბჭომ მოიწონა. ამის შემდეგ დოკუმენტს ხელი მოაწერა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. ყაზახეთის პარლამენტში შეთანხმებას მას შემდეგ გაიტანენ, რაც რუსეთი ამ ქვეყანას რატიფიცირებულ დოკუმენტს წარუდგენს. „როსიისკაია გაზეტას“ ინფორმაციით, შეთანხმება ხუთი წლის ვადით იდება. შეთანხმების თანახმად, ომის შემთხვევაში რუსეთისა და ყაზახეთის სამხედრო მფრინავებს სახელმწიფოებს შორის საზღვრის გადაკვეთა გაუფრთხილებლად შეეძლებათ. როგორც ასტანაში აღნიშნავენ, ახალი დოკუმენტი ორი ქვეყნის საჰაერო სივრცის უსაფრთხოებას აძლიერებს. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთი მომავალში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნას სომხეთთან, ყირგიზეთთან და ტაჯიკეთთანაც აპირებს. ამ ნაბიჯებს კი, სავარუდოდ, რუსეთი დასავლეთის მოქმედებების საპასუხდ დგამს. რუსეთის საზღვრებთან ახლოს ამერიკის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგებას რუსეთს ძალიან აღიზიანებს.

მოამზადა თამთა კახაძემ

სისხლიანი ტერაქტების სერია ვოლგოგრადში

პირველი გვერდიდან

თვით ასაფეთქებილი ნივთიერების გარდა, ბომბში დამაზიანებელი ელემენტებიც იყო. 14 ადამიანი ადგილზევე დაიღუპა, ორი - საავადმყოფოსკენ გზაში. პირველი აფეთქების მე-17 მსხვერპლი მამაკაცი აღმოჩნდა, რომელიც საავადმყოფოში გუშინ გარდაიცვალა. კლინიკების სტაციონარებში, გუშინდელი დღის მონაცემებით, 38 ადამიანი რჩებოდა, მათ შორის 7 დაჭრილი, რომელთა მდგომარეობაც განსაკუთრებით მძიმე იყო, მოსკოვში გადაიყვანეს. საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სპეციალური თვითმფრინავები მზად არიან, ნებისმირი დაჭრილი ვოლგოგრადიდან ნებისმიერ დროს გადაიყვანონ მოსკოვში ან სხვაგან, სადაც საჭიროდ მიიჩნევენ. დაღუპულებსა და მძიმედ დაჭრილებს შორის მცირეწლობანი ბავშვებიც არიან.

თავიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფეთქება თვითმკვლელმა ტერორორისტმა ქალმა მოაწყო, შემდეგ საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აფეთქება შეიძლებოდა, მამაკაცსაც მოეწყო, თან სავარაუდოდ, მას სლავური გარეგნობა ჰქონდა. მოგვიანებით სავარაუდო ტერორისტის ვინაობაც გამოქვეყნდა. დაუზუსტებელი მონაცემებით, ის შეიძლება ასტრახანის მცხოვრები ვინმე პავლოვი ყოფილიყო, რომელიც ვოლგოგრადის გავლით ნაბერეჟნიე ჩელნიში მიემგზავრებოდა. პირველი ვერსიით, ის იყო შახიდი ქალის, დაღესტნელი ოქსანა ასლანოვას თანამზრახველი. ეს ასლანოვა იმ ნაიდა ასიალოვას მეგობარია, რომელმაც 21 ოქტომბერს ვოლგოგრადის ერთ-ერთ ავტობუსში აიფეთქა თავი და 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპული ადამიანების სხეულის მოგლეჯილ ნაწილებს შორის იყო ქალის თავი, რომელიც ასლანოვას წააგავდა. თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ძებნილ ტერორისტ ასლანოვას, უბრალოდ, ჰგავდა ერთ-ერთი დაღუპული ქალი. შემდეგ დღის მეორე ნახევარში სულ სხვა მონაცემები გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც, ვაგზალზე მომხდარი ტერაქტი შეიძლებოდა, ვინმე პაველ პეჩიონკინს მოეწყო, რომელმაც შარშან მიიღო ისლამი.

აფეთქება რკინიგზის სადგურის იმ დარბაზში მოხდა, რომლიდანაც მგზავრები ძირითად ნაწილში შედიან და რომელშიც მეტალო-დეტექტორები დგას. ამ დეტექტორში ტერორისტის გავლისას სიგნალიზაცია ჩაირთო და პოლიციელებმა მას გვერდზე გასვლა სთხოვეს უფრო დეტალურად გასაჩხრეკად. თვითმკვლელმაც სწორედ იმ მომენტში აამოქმედა ასაფეთქებელი მოწყობილობა. საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელ ვლადიმირ მარკინის სიტყვებით, მსხვერპლი შესაძლოა, გაცილებით დიდი ყოფილიყო, ტერორისტს ძირითად მოსაცდელ დარბაზში რომ მოეხერხებინა შესვლა. მარკინი ამ განცხადებისთვის სოციალურ ქსელებში უკვე გააკრიტიკეს და დღუპულების მიმართ ცინიზმში დასდეს ბრალი. მას შეახსენეს, რომ მეტალო-დეტექტორებთან რიგებში ყოველთვის ბევრი ხალხია და ეს ტერაქტებისთვის საკმაოდ მოწყვლადი ადგილია. კვირასაც იმ შედარებით მომცრო დარბაზში 60-ოდე ადამიანი იყო.

კვირასვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტერაქტის და იარაღის უკანონო ბრუნვის მუხლებით. ვოლგოგრადის ოლქში გამოცხადდა ხუთდღიანი გლოვა და საგანგებო მდგომარეობა ტერორისტული საფრთხის მომატების გამო 15 დღით. უსაფრთხოების ზომები რუსეთის ბევრ ქალაქში გაამკაცრეს, დედაქალაქ მოსკოვის ჩათვლით და ქვეყნის ყველა სარკინიგზო სადგურში. ხელისუფლებამ და რუსეთის რკინიგზამ მგზავრებს თხოვნით მიმართეს, ვაგზლებზე ადრე მივიდნენ, რათა შემოწმების გავლა მოასწრონ. სამართალდამცავები მგზავრებს ტოტალურად შეამოწმებენ.

გუშინ, ორშაბათს, იმავე ვოლგოგრადში მეორე ტერაქტიც მოხდა. ამჯერად ბომბი აფეთქდა N15 მარშრუტის ტროლეიბუსში 8:23 საათზე, ანუ დილის პიკის საათის დროს. ეს არის ქალაქის ცენტრსა ერთ-ერთ დიდ გარეუბანს შორის მოძრავი ერთადერთი ტროლეიბუსი და მასში ყოველთვის ბევრი ხალხია. აფეთქება ძალიან ძლიერი იყო, ტროლეიბუსიდან თითქმის არაფერი დარჩა. როგორც ჩანს, ბომბი დაახლოებით შუაში იყო მოთავსებული. დარჩენილ ჩონჩხს სახურავი გუმბათისებურად აეხადა და კედლებიც თითქმის განადგურდა. თუმცა წინასწარი გამოკვლევის თანახმად, აფეთქების სიმძლავრე იყო 4 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტით. თვითმხილველებმა თავიდან ვერც გარჩიეს, რომ ეს ტროლეიბუსის ნაშთი იყო. ახლომდებარე შენობებში მთლიანად ჩაიმსხვრა მინები. დაიღუპა 14 ადამიანი, ხოლო 40-ზე მეტი კი დაიჭრა, მათ შორის არის თვეების ბავშვიც. რამდენიმე დაჭრილის მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

საგამოძიებო კომიტეტის მონაცემებით, ტროლეიბუსშიც თვითმკვლელი ტერორისტი მოქმედებდა და ისიც სლავური გარეგნობის იყო.

ცხადია, ორშაბათის ტერაქტზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იმავე მუხლებით. პრეზიდენტმა პუტინმა რეგიონში სასწრაფოდ მიავლინა „ეფ-ეს-ბეს“ ხელმძღვანელი ბორტნიკოვი. მან ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის საგანგებო სხდომა ჩაატარა და ქვეყნის ყველა რეგიონში უსაფრთხოების ზომების გამკაცრების ბრძანება გასცა. რუსეთის სამხრეთში გახშირებულ ტერაქტებს ბევრი მიმომხილველი სოჭის ოლიმპიადის მოახლოებას და იმ მუქარას უკავშირებს, რომელიც ზაფხულში „კავკასიის იმარატის“ ხელმძღვანელმა დოკუ უმაროვმა გავრცელა. ჩეჩნეთის მეთაურ რამზან კადიროვის ვარაუდით, უმაროვი უკვე მკვდარია, თუმცა ტერაქტები მაინც ხდება და მხოლოდ ამ შემოდგომიდან მოყოლებული, ვოლგოგრადში ეს უკვე უკვე მესამე შემთხვევაა.

ვოლგოგრადის პატრულირებაში მონაწილეობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს კაზაკებმა. ოლიმპიურმა კომიტეტმა ვოლგოგრადი ოლიმპიური ცეცხლის მარშრუტიდან ამოიღო.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა ტერაქტების მსხვერპლთათვის პანაშვიდი ჩაატარა და 27 დეკემბერს პიატიგორსკში დანაღმული ავტომობილის აფეთქებისას დაღუპულებიც მოიხსენა. ამ აფეთქებას სამი შემთხვევითი გამვლელი შეეწირა.

პრემიერ-მინისტრმა დმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას დაღუპულებისა და დაშავებულებისთვის კომპენსაციების გაცემის შესახებ. ფედერალური მთავრობა თითოეული დაღუპულის ოჯახს მილიონ რუბლს (30 ათასი დოლარი) გადასცემს, 400 ათასს მიიღებენ ის პირები, ვის ჯანმრთელობასაც სერიოზული ზიანი მიადგა და 200 ათასს ის პირები, ვინც მსუბუქად დაიჭრა. კომპენსაციები ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გაიცემა.

ქალაქში გუშინ პანიკა დაიწყო. ხალხს ყველგან აფეთქებები ელანდება და გავრცელებული ცრუ ინფორმაციების შესამოწმებლად შესაბამის სამსახურებში განუწყვეტელი ზარებია. გუშინ საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ გავრცელა სპეციალური განცხადება, რომ ტროლეიბუსის აფეთქების შემდეგ ტერაქტი აღარ მომხდარა და ახალი ხმების გავრცელება პანიკის გამოვლინებაა. თვითმხილველები ჰყვებიან, რომ შეშინებული ხალხი საზოგადოებრივ ტრანსპორტში აღარ სხდება და სამსახურში ფეხით წასვლას არჩევს. ზოგმა ორგანიზაციამ თანამშრომლებისთვის სამსახურებრივი ტრანსპორტიც გამოყო. ქალაქში მობილური კავშირი სერიოზულად შეფერხებულია და მცხოვრებლებს ორი და სამი სიმბარათის აღება უწევთ, რათა ერთი ქსელის ბლოკირების შემთხვევაში, სხვა ქსელით ისარგებლონ.

„ალ ჯაზირას“ სამი ჟურნალისტი ეგვიპტეში დააკავეს

„ალ ჯაზირას“ განცხადებით, ეგვიპტის უსაფრთხოების ძალებმა სამი ჟურნალისტი დააკავეს. მანამდე კი ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტომ ყატარში დაფუძნებული ტელევიზია ერთ-ერთი სასტუმროდან უკანონოდ მაუწყებლობაში დაადანაშაულა. „როიტერის“ ცნობით, კაიროში მდებარე ტელევიზიის ოფისი 3 ივლისს დაიხურა, მას შემდეგ, რაც არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა.

„მივიღეთ ინფორმაცია, რომ „მუსლიმი ძმების“ წევრები კაიროში მდებარე სასტუმროში შეხვედრებს მართავდნენ და სასტუმროს ნომრები პრესცენტრად ჰქონდათ გადაქცეული. ისინი პირდაპირ ეთერში ისეთ ინფორმაციას გადასცემდნენ, რაც ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება,“ - საუბარია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. იქვე წერია, რომ დაკავებულები არიან „მუსლიმი ძმების“ წარმომადგენლები და ტელევიზიის ავსტრალიელი ჟურნალისტი.

ცნობისათვის - ყატარი „მუსლიმი ძმებს“ ფინანსურად აქტიურ დახმარებას უწევს.

იმავე ეგვიპტეში კვირას კაიროს ჩრდილოეთით არმიის ერთ-ერთ შენობასთან აფეთქება მოხდა, დაშავდა ოთხი ჯარისკაცი. ბოლო ერთ კვირაში ეს მეორე შემთხვევაა. აფეთქება უკვე შეაფასეს ტერორისტულ თავდასხმად. წინა აფეთქების შემდეგ, რასაც 16 ადამიანი ემსხვერპლა, ქვეყნის სასამართლომ „მუსლიმი ძმების“ მოძრაობა ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა და ამ მოძრაობის ათობით წარმომადგენელი დააპატიმრა. გუშინდელ ტერაქტშიც მთავრობა სწორედ ამ მოძრაობას ადანაშაულებს. 3 ივლისს არმიამ პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა, რასაც ქუჩაში მურსის მხარდამჭერების გამოსვლები მოჰყვა. კვირას ეგვიპტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ადლი მანსურმა განაცხადა, რომ მთავრობა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში გეგმავს.

თამთა კახაძე

2014 - პარტიის ჩრდილში!

სოფო კილასონია

ზუსტად არ ვიცი კიდევ რამდენჯერ ამოვიკითხავ საკუთარ ნაწერს „24 საათის“ გაზეთის გვერდებიდან. კიდევ და კიდევ, თუ არც აღარასოდეს. როცა არ იცი ხვალ რა იქნება, როცა არ იცი ხვალ სად იქნები, როცა შენი საქმე სხვადასხვა გარე ფაქტორების გამო ამორფული ხდება, როცა დგახარ სიტყვაზე „შეიძლება“ - ეს მდგომარეობა ქართულ მედიასივრცეში ყველასთვის კარგად ნაცნობია. ასე რომ შიშსა და სასოწარკვეთას არ იწვევს. იწვევს სევდას, რომ ცხოვრობ სხვების სივრცეში. ვინც არ უნდა იყო, რა პროფესიისაც არ უნდა იყო, ცხოვრობ პოლიტიკურ სივრცეში, პოლიტიკოსების კერძო სივრცეში. სტატიებს არ ვინახავ, გაზეთებს ვყრი და ფაილებს ვშლი. არც წლები დამითვლია - 6,7, ან 8. საკუთარი საქმისთვის არ შემიხედავს ამბიციებით - ისტორიას არ ვემსახურები. ვემსახურები მხოლოდ აწმყოს. დღეს დანახვისთვის, დღეს გააზრებისთვის, დღეს რეაგირებისთვის. ის რასაც წლების განმავლობაში ამ გაზეთისთვის ვწერდი ერთ დღედ დამრჩა მეხსიერებაში. იმ ერთ დღეს ვწერდი ერთ რამეზე - კულტურის განვითარებაზე პოლიტიკური წნეხის, პოლიტიკური გემოვნების გარეშე. ვწერდი სხვადასხვა საკითხებზე, სხვადასხვა ამბებზე, მაგრამ ერთი და იგივე კონტექსტზე. ახალი წლისთვის დიდი შემაჯამებელი სტატია დავწერე. ყველაფერზე რაც საკვანძო და გადამწყვეტი იყო 2013 წელს.

ასეთი სტატიით გათენებული 31 დეკემბერი ბევრი გვახსოვს მე და ჩემს რედაქციას, მაგრამ დღევანდელ დაწერილს არ ვბეჭდავ, დღევანდელ დაწერილს სადმე ფაილებში ჩავკარგავ. დღეს ისე მოვიქცევი როგორც ერთ რიდით დღეს მოვიქცეოდი. ერთ ჩვეულებრივ ამბავზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ისეთ ერთ რამეზე, რაც ბევრი რამის ინდიკატორი გახდება.

ფოლკროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ახალ წელს აუცილებლად დანიშნავენ სხვას. თათბირები, მრგვალი მაგიდები, დისკუსიები ამ და სხვა თემებზე, ეს ყველაფერი მხოლოდ ფორმაა შნაარსის გარეშე. მაგრამ ვის დანიშნავენ? მას, ვისაც ჩვენი კულტურის „პატრიარქები“ მიუთითებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს? თუ მას ვისაც დაასახელებს პარტია? ან ვინმე პარლამენტიდან? გათავისუფლების მიზეზად დაასახელეს ფოლკლორის ცენტრის რომელიღაცა ოთახის იაფად მიქირავება, ასევე ფოლკლორის პოპულარიზაციისთვის შექმნილი „ფოლკ რადიოსთვის“. მაგრამ გადასახადების გადაუხდელობა მაინც ვერ გამოვლინდა. არის თუ არა ეს მიზეზი წარმატებული ხელმძღვანელის გათავისუფლებისთვის საკმარისი? მოუსმენენ თუ არა ამ ცენტრის თანამშრომლებს? თუ გადამწყვეტი მაინც იქნება გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის იმპერატიული ტონი განცხადებისა, რომ სხვა და არა უშიკიშვილი არის ფოლკლორის პატრიარქი! გადახედავენ თუ არა ცენტრის მიერ გაკეთებულ საქმეებს, თუ გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, რობერტ სტურუას გემოვნება იქნება გადამწყვეტი? და კიდევ ერთი კითხვა, ვინ აირჩია ანზორ ერქომაიშვილი პატრიარქად? ანდა ვინ ჩამოართვა მას ეს სტატუსი? ბატონ ანზორ ერქომაიშვილს საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა არ აკლია და არც მოაკლდება მის მიერ ქართული ფოლკლორის შენარჩუნების საქმეში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისა და შრომისთვის. მაგრამ რა კავშირში უნდა იყოს ის და მისი ღვაწლი უშიკიშვილის საკითხთან, ანდა რისი თქმა სურთ ყანჩელსა და სტურუას? იქნებ იმისი რომ ქართულ კულტურაში ყველა სფეროს თავისი პატრიარქი ყავს და პატრიარქთა ნება არის უზენაესი. ცხადია სწორედ ეს გვითხრეს და ამით არა იმდენად ბატონ ანზორს მიეფერნენ, რამდენადაც შეგვახსენეს კულტურაში პატრიარის ინსტიტუტის არსებობა და ცხადია საკუთარი ავტორიტეტიც, საკუთარი პატრიარქობა. ისინიც პატრიარქები არიან, ოღონდაც მუსიკისა და თეატრის...

დღეს გიორგი უშიკიშვილის საქმიანობაზე, ანდა მრავალწლოვან ბატალიებზე რაც იყო მასსა და სხვადასხვა „პატრიარქებს“ შორის კულუარებში, არ მოვიგონებ. იმიტომ რომ ფოლკლორის ცენტრის წარმატებული მუშაობაც სახეზეა და არც იმ პატრიარქებს დაუმალავთ ოდესმე, რომ უშკიშვილის, ახალგაზრდა ადამიანის დაწინაურება და აქტიურობა დიდად არ ხიბლავდათ. ჩვენ ამას შეჩვეულები ვართ. საქართველო უფროსი თაობების, პატრიარქების და მათი მეხოტბეების სივრცეა. გარდამავალ ეპოქაში, როცა ფასეულობები და რაც მთავარია პროფესიული სტანდარტები იცვლება, როცა სისტემები და ინსტიტუციები აბსოლუტურად იცვლება, როცა ტემპი და დინამიკა ჩქარდება, შესაძლებელია ახალგარზდა ადამიანები უფრო მობილურები და სხარტი ხდება, იქნებ ამიტომაც გაჩნდა ჩვენი მშობლების თაობაში წყენა და სევდა, რომ ისინი გვერდზე გაწიეს. დღეს რევანშის დროა. არა მხოლოდ პოლიტიკური რევანშის, არამედ ხშრად თაობათა რევანშსაც. ყოვილი საბჭთა და ე.წ. შევარდნაძის პერიოდის ელიტების რევანშის დრო. მაგრამ ყველა გვერდზე იყოს. უშიკიშვილის საქმიანობის გარჩევა კიდევ იმიტომაც არ ღირს, რომ ამ საქმიანობის რიგიანად გარჩევა და აწონვა თავად იმ ისტიტუციას არ სურს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი. ასე მოხდა თუნდაც იგივე ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის, დავით საყვარელიძის გათავისუფლების დროს. უბრალოდ ხმა დაარხიეს რომ საყვარელიძეს ჰქონდა ფინანსური დარღვევები. დარღვევებამდე საქმე არ მისულა. რამდენიმე თვის შემდეგ კი მას, როგორც კარგ მენეჯერს რუსთაველის თეატრის გადარჩენას სთხოვდნენ... ალოგიკურია, მაგრამ ასეთი იყო რობერ სტურუას, ერთ-ერთი „პატრიარქის“ სურვილი...

დღეს მე იმაზე ვწერ, რაზე წერითაც ამ გაზეთში მუშაობა დავიწყე. ვწერდი, რომ საქართველოში კულტურის სფეორებში არიან ადამიანი-ღმერთები, პოლიტიკოსებთან გარიგებული ღმერთები. ღმერთები, რომლებიც ვერ ურიგდებიან იმას, რომ დრო მიდის და ახალ დროს ახალი ადამიანებიც მოყვებიან. წლების განმავლობაში ვწერდი, რომ საქართველოში კულტურის მარგინალიზაციას ახდენდნენ კულტურის პოლიტიზირებით. ვწერდი სტატიებს და ვწერდი წერილებს მინისტრებს, ხელს ვაწერდი პეტიციებს და მოთხოვნებს, რომ კულტურაში უპირატესობა მიენიჭებინათ საქმისთვის, ამოცანისთვის, პრობლემისთვის და არა ადამიენბისთვის, რომლებიც ელიტაში ექცეოდნენ პოლიტიკური გემოვნების მიხედვით. რა დავწერო ახალი? იმისთვის რომ საქმის და სფეროს სათავეში ადგილი შეენარჩუნებინა, გიორგი უშიკიშვილიც მოიაზრებოდა უკვე წასული ხელისუფლების მეგობრად. ნაციონალური მოძრაობის აქტივისტად. დღეს მას სწორედ ამის გამო ათავისუფლებენ და კიდევ იმის გამო, რომ ვიღაც სხვა დგას რიგში. სხვა, რომელიც ამჟამინდელ პოლიტიკურ ელიტას მოსწონს. უშიკიშვილის გაკეთებული საქმეები ვის აინტერესებს? აინტერესებთ ის, თუ ვის გვერდით დგას ის დღეს და სად იყო გუშინ. რაკი ის ისევ იქ დგას, სადაც იდგა, ჩამოშორდება სფეროს. ადამაინები მოძრაობენ, იცვლებიან, მაგრამ არ ჩანან ადამიანები, რომლებიც შეცვლიან სივრცეს, გარემოს, თამაშიც წესებს. მხოლდო ამ ცვლილებას შეუძლია რეალური განვითარება და წარმატება მოიტანოს. მაგრამ არავინ ჩქარობს.

2013 წელი ასე სრულდება. პროფესიონალიზმი და შრომა იგნორირებულია. მნიშნელოვანი სულ სხვა რამეა. ისევ სულ სხვა რამე. მნიშნელოვანია, რომ ყველა სფეროსა და ყველა ინსტიტუციაში იყვნენ გუნდის წევრები. ისინი, რომლებიც სისტემას შერყევის საფუძველს არ მისცემენ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ხვალ საზოგადოების უკმაყოფილებისა და სკეპტიციზმის ხარისხი. ეს ყველაფერი ძველია. არაფერი ახალი, ასე რომ ახალი წელი, რომელიც მკითხველს წინასწარ უნდა მივულოცო, სინამდვილეში ახალი ჯანმრთელი საზოგადოების შენების წელი ალბათ მაინც ვერ იქნება.

ჩვენ ისევ ვართ და კიდევ დიდხანს ვიქნებით კულტურულად პრიმიტიულ გარემოში. სადაც იმისთის რომ გადარჩე, ან უკვე პატრიარქი უნდა იყო, ანდა პარტია გიცავდეს. ასე რომ ნუ უსმენთ ასტროლოგებს, ცხენი ვერაფერს გიშველით, ეძიეთ თქვენი ადგილი ამ ორის ჩრდილში.

რა ენაზე ალაპარაკდება „ოსკარი“

ამერიკის კინოაკადემია ნომინანტებს 16 იანვარს დაასახელებს

ია ვეკუა

რამდენიმე დღის წინ რუსეთის კულტურის მინისტრმა ვლადიმერ მედინსკიმ წლის აღმოჩენა გააკეთა და ამერიკის კინოაკადემია გადაჭარბებულ პოლიტიზებაში დაადანაშაულა. ამ დასკვნამდე მინისტრი მას შემდეგ მივიდა, რაც აკადემიამ უცხოენოვანი ფილმის ნომინაციის შორტლისტი (9 ფილმი, რომელთაგან ნომინაციისთვის მხოლოდ ხუთს შეარჩევენ) გამოაქვეყნა, მან კი ჩამონათვალში ფიოდორ ბონდარჩუკის „სტალინგრადი“, წლის ალბათ ყველაზე აბდაუბდა ფილმი, ვერ აღმოაჩინა.

სავარაუდოდ, მედინსკის ამხელა ამბიცია არ ექნებოდა, შორტლისტში შემავალი ფილმებიდან ერთი მაინც რომ ენახა და ამით მაინც შეექმნა შთაბეჭდილება ხარისხიანი კინოს შესახებ. იმავეს ვეტყოდით ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეების“ თაყვანისმცემლებსაც, რომლებსაც ხან საკუთარი გემოვნებიდან გამომდინარე, ხანაც სხვა და სხვა კინოპორტალების მომხმარებელთა მიერ გაკეთებული პოლების გამო ბოლომდე სჯეროდათ, რომ ქართული ფილმი, სულ მცირე, ათეულში მაინც მოხვდებოდა. ასე არ მოხდა და „გრძელი ნათელი დღეები“ წინა წლებში ნომინაციიის მიღმა დარჩენილი დანარჩენი ქართული ფილმების რიგებში გაწევრიანდა.

შორტლისტის ცხრა ფილმიდან სამი ჩვენმა მაყურებელმა თბილისის კინოფესტივალის ფარგლებში ნახა. ესენია ნომინაციაში მოხვედრის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი, პაოლო სორენტინოს მართლაც დიდებული „დიდებული სილამაზე“ (იტალია), რომელსაც კრიტიკოსები და კინომიმომხილველები გამარჯვების ყველაზე დიდ შანსს აძლევენ; დანიური „ნადირობა“ - ტომას უინტერბერგის ძალიან ემოციური დრამა შესანიშნავი მადს მიკელსენით მთავარ როლში; გერმანელი გეორგ მაასის „ორი ცხოვრება“ - ჰენელოპ ჰიპეს რომან „გამყინვარების პერიოდის“ კინოადაპტაცია, რომლის სიუჟეტიც ორ დროში იშლება: 90-იანებში, ბერლინის კედლის დანგრევის შემდგომ და მეორე მსოფლიო ომისას ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ნორვეგიაში.

9 საუკეთესოთა შორისაა ვონგ კარ ვაის „გრანდმასტერი“ - აღმოსავლური ორთაბრძოლის ოსტატ იპ მანის ისტორია, რომელმაც ბერლინის წლევანდელი კინოფესტივალი გახსნა და, რეალურად, სულ ესაა, რასაც ძალიან კარგი ჰონგ კონგელი რეჟისორის ნამუშევარმა მიაღწია. ამრიგად მას ძალიან სჭირდება ნომინაციაში მოხვედრა. ხუთეულში მოხვედრისთვისაა განწყობილი პალესტინელი ჰანი აბუ ასადის „ომარი“ - კანისა და ტორონტოს ფესტივალების მონაწილე დრამა და უნგრული „უბის წიგნაკი“.

ძალიან საინტერესოა კამბოჯური დოკუმენტური ფილმი „ნაკლული სურათი“ (რეჟისორი რითი პანი), რომელიც აუცილებლად მიიქცევს მაყურებლისა და შემფასებელთა ყურადღებას. პირველ რიგში, ფილმი იმ მხრივაა საინტერესო, რომ კამბოჯის უახლესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი, წითელი ქმერების ტირანული მმართველობის პერიოდს ასახავს, მეორე ფაქტორი კი ის გახლავთ, რომ რეჟისორი ამ ისტორიას თიხის ფიგურების მეშვეობით, ანიმაციური ხერხებით აცოცხლებს, რასაც საარქივო მასალასაც უმატებს. „ნაკლული სურათის“ კონკურენტი შეიძლება ასევე იყოს ბელგიური The Broken Circle Breakdown (რეჟისორი ფელიქს ვან გროენინგენი) და ბოსნია-ჰერცოგოვინას პროდუქტი An Episode in the Life of an Iron Picker (რეჟისორი დენი ტანოვიჩი).

როდესაც აღნიშნული სია გამოქვეყნდა, კინოპრესა გაოცებას ვერ მალავდა, რომ მის მიღმა საკმაოდ საინტერესო და უკვე ტიტულოვანი ფილმები დარჩა. მაგალითად „ბერლინალეს“ გამარჯვებული რუმინული „ბავშვის პოზა“ და კანის ფავორიტი ფრანგული „ადელის ცხოვრება“. ასევე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩილური „გლორია“, ირანული „წარსული“ (რეჟსიორი ასღარ ფარჰადი) და ანჟეი ვაიდას პოლონური „ვალესა“.

აქვე შეგახსენებთ, რომ შარშან „ოსკარი“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში მიხაელ ჰანეკეს „სიყვარულს“ ერგო, რომლის კონკურენტებიც იყო კანადური „მეამბოხე“, ჩილური „არა“, დანიური „სამეფო რომანი“ და ნორვეგული „კონ ტიკი“.

„ოსკარის“ ნომინანტებს 16 იანვარს დაასახელებენ, მარტის დასაწყისში კი დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება, რომლის მასპინძელიც კიდევ ერთხელ იქნება ელენ დეჯენერსი.

აყალმაყალი ფოლკლორის ცენტრის ირგვლივ

თამაზ გაბისონია

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორობის ერთ-ერთი კანდიდატი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ეთნომუსიკოლოგი

ის აყალმაყალი, რაც საქართველოს დღევანდელობის სხვადასხვა სფეროში დროდადრო ატყდება ხოლმე, უკვე აღარავის უკვირს. მაგრამ საზოგადოებისთვის საკმაოდ მოულოდნელი შეიქნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოსხნა-არჩევის დროს წამოქმნილი კონფლიქტური სიტუაცია. იგი დეტალური ანალიზის საგანი ჯერ არ გამხდარა. არადა საჭიროდ მიგვაჩნია, რაც შეიძლება მალე გავერკვეთ შფოთის წანამძღვრებსა და მექანიზმში, რათა მისი კვლავ წარმოშობის ალბათობა მინიმუმამდე შემცირდეს, განსაკუთრებით - ისეთ ტრადიციულ სივრცეში, როგორიც ქართული ფოლკლორია.

გვესმის, რომ რომელიმე დაპირისპირებული მხრიდან ყოველი ახალი გამოსვლა კონფლიქტს მხოლოდ აღვივებს, ეს კი დამანგრეველად მოქმედებს ყველა ჩვენგანზე (ვხვდებით თუ არა ამას). ამ მხრივ განსაკუთრებით მტკივნეულია ის ზიანი, რომელიც ადგება ჩვენთვის სათაყვანებელ პიროვნებას, ბატონ ანზორ ერქომაიშვილს. მაგრამ, ვფიქრობთ, დღეს არ უნდა მივაჩუმათოთ ის წინაღობები, რომლებიც ჩვენში სამოქალაქო საზოგადოების წინსვლას უშლის ხელს. უნდა მოხდეს ამ, თუნდაც გაუაზრებელ, ტენდენციათა იდენტიფიცირება და შემდეგ ყველა მოქიშპემ სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა განვაგრძოთ ერთობლივი ბრძოლა.

ჩვენი მოსაზრებები ეყრდნობა როგორც ფაქტებს, ასევე - საფუძვლიან ვარაუდებს. ცხადია, ვაცნობიერებთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება და დასკვნა, შესაძლოა, მცირე უზუსტობებს შეიცავდეს. ამდენად, ამ წერილზე გამოხმაურების შემთხვევაში, შენიშვნებს ობიექტურად და მადლობით მივიღებთ.

მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას:

კულტურის სამინისტრო უშიკიშვილის მოხსნის შემდეგ მოტივებს ასახელებს: ა) დარღვევები სამეურნეო საქმიანობაში და ბ) საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება ცენტრის მართვის არასწორი პოლიტიკის გამო.

სამეურნეო დარღვევების შესახებ დასკვნაზე კომენტარი უშიკიშვილის ნაწილობრივ ან მთლიანად გამართლების ან უფრო მეტად დადანაშაულების მიზნით უმართებულოდ მიგვაჩნია, როგორც მის მომხრეთაგან, ასევე მის მოწინააღმდეგეთაგან.

რაც შეეხება საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას, შენიშვნები ძირითადად ეხება 1) უშიკიშვილის მიერ ბატონ ანზორის ანსამბლ „რუსთავის“ და ბატონ ჯემალ ჭკუასელის „ერისიონის“ კრიტიკას, 2) სხვადასხვა დროს უშიკიშვილის გამონათქვამებს, რომლებშიც სხვა მუშაკთა ღვაწლი იყო დამცრობილი; 3) არქივიდან იმ ძველი ჩანაწერების ფოლკლორის ცენტრში გადმოწერას, რომელთა უმრავლესობის მოპოვებაში ანზორ ერქომაიშვილის დიდი წვლილია ჩადებული; 4) ფინანსურ მაქინაციებს; 5) ზოგიერთი, ძირითადად თბილისური, ანსამბლის გასტროლებით, კონცერტებითა და ჩანაწერებით უზრუნველყოფის მხრივ ინერტულობას.

ჩამონათვალიდან აშკარაა, რომ პირველი სამი ბრალდება არასაკმარისი არგუმენტია უშიკიშვილის, როგორც ცენტრის ხელმძღვანელის, საქმიანობის უარყოფითად წარმოსაჩენად; მეოთხე ბრალდება აუდიტისა და სასამართლოს კომპეტენციაა და, უდანაშაულობის პრეზუმფციის გამო, მისგან თავი უნდა შევიკავოთ; ხოლო მეხუთე ბრალდება ფოლკლორის ცენტრის არაპირველხარისხოვან ამოცანებს ეხება, რადგან **ცენტრი, პირველ რიგში, ფოლკლორის დაფიქსირება-დაცვა-შენარჩუნებაზეა ორიენტირებული და არა იმდენად - მეორადი შესრულების, სასცენო ანსამბლების მხარდაჭერაზე.**

საინტერესოა, რომ ზოგიერთი მომღერალი უშიკიშვილს უკიჟინებს ამ უკანასკნელის ანსამბლ „ლაშარისადმი“ უყურადღებობას. ამით, შეიძლება ითქვას, არაპირდაპირ ადასტურებენ, რომ დირექტორად ყოფნის შემთხვევაში საკუთარ ანსამბლებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებდნენ.

რაც შეეხება უშიკიშვილის საქმიანობის უშუალო კრიტიკას - თუ რომელი პროექტი არ იყო საჭირო, ან არასათანადოდ ჩამოყალიბდა და წარიმართა, ან რომელი პროექტი იყო პირველ რიგში საჭირო და არ განხორციელდა - ამის შესახებ კრიტიკას ჩვენ მთელ ამ პერიოდში ვერ ვხედავთ, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ფოლკლორის ცენტრის საქმიანობაში ჩაღრმავება მის მოწინააღმდეგეთ დიდად არც უცდიათ. ამ მოსაზრების გარკვეული დასტურია ის გახშირებული გამონათქვამები, რომლებიც ერთი ფრაზით შეიძლება გამოიხატოს: „ცენტრს არაფერი გაუკეთებია“.

კიდევ ერთი მომიჯნავე ბრალდება: უშიკიშვილი აშკარა ლოიალობას, ხშირად კი მხარდაჭერას უცხადებდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მისი მოწინააღმდეგეები მას ხშირად აკრიტიკებენ ამის გამო. ისიც აღსანიშნია, რომ აუდიტი უშიკიშვილს დარღვევებს უფიქსირებს 9-წლიანი მმართველობის მხოლოდ ბოლო ეტაპზე, როდესაც ასევე აქტიურდება ძველი ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირთა წინააღმდეგ პროცესები. ყველა შემთხვევაში, არ არის გამოსარიცხი უშიკიშვილის ათვალწუნების პოლიტიკური მოტივიც.

უშიკიშვილის მოხსნის მეორე დღეს (19 დეკემბერს) ქვეყნდება ცვლილება ფოლკლორის ცენტრის დებულებაში, რომლის მიხედვითაც, ამიერიდან მას სამეთვალყურეო საბჭო ეყოლება.

რატომ გაჩნდა ამ საბჭოს შექმნის აუცილებლობა? იმის გამო, რომ უშიკიშვილს ფინანსური დარღვევები აღმოაჩნდა? მაგრამ ამ დარღვევების აღმოჩენა ხომ აუდიტის და საგადასახადო სამსახურების პრეროგატივაა? უშიკიშვილმა უუნარობის, უსაქმურობისა და არასწორი ფოლკლორული პოლიტიკის ნიმუში მოგვცა? მაგრამ ამის შესახებ საგნობრივად მას არავინ აკრიტიკებს. მაშ რატომ დაგვჭირდა საბჭო?

მოითხოვდა კი ან კულტურის სამინისტრო ან ანზორ ერქომაიშვილი საბჭოს შექმნას, თუ ბატონი ანზორი თავიდანვე ცენტრის დირექტორად დასახელდებოდა? წარმოიდგინეთ: ღვაწლმოსილი ანზორ ერქომაიშვილი და მისი მაკონტროლებელი საბჭო! რა თქმა უნდა, ბატონი ანზორის დირექტორობის შემთხვევაში საბჭოს მოფიქრება საჭირო აღარ იქნებოდა. მაგრამ ანზორ ერქომაიშვილს, როგორც პირველ რიგში ხელმძღვანელს ანსამბლ „რუსთავისა“, რომელიც აქტიურ საგასტროლო მოღვაწეობას ეწევა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, არ სცალია მსგავსი საქმიანობისათვის. ამიტომ იგი თანახმაა კურატორობის ფუნქციაზე. მაგრამ მისთვის ხომ ამგვარი პიროვნული პოსტი ვერ დაწესდება? ამიტომ იქმნება საბჭო. შეიძლება დავასკვნათ, რომ **საბჭოს შექმნა დღევანდელი სიტუაციითაა ნაკარნახევი და არა - უეცრად წამოჭრილი და შეუქცევადი საჭიროებით.**

ჩემი მტკიცე მოსაზრებით, ფოლკლორის ცენტრს სამეთვალყურეო საბჭო არ სჭირდება. ფინანსურ მონიტორინგს სამინისტრო გაწევს, ხოლო თუ სტრატეგიული გეზი მიუღებლად შეიცვალა, საზოგადოების აქტიურ გამოხმაურებზე ისევ კულტურის სამინისტრო მოახდენს რეაგირებას - როგორც ამ მოცემულ შემთხვევაში გააკეთა.

სამეთვალყურეო საბჭოში შევიდა 11 წევრი (დებულებით მასში შეიძლება იყოს 7-დან 13-მდე წევრი). ჩამოვთვლით: ანზორ ერქომაიშვილი, მეუფე იაკობი, თემურ ქევხიშვილი, რობერტ გოგოლაშვილი, ჯემალ ჭკუასელი, მალხაზ ერქვანიძე, ნინო მახარაძე, სვიმონ ჯანგულაშვილი, ლევან ვეშაპიძე, ფრიდონ სულაბერიძე, წარმომადგენლებს, გარდა ფრიდონ სულაბერიძისა (ანზორ ერქომაიშვილთან ერთად „რუსთავის“ თანახელმძღვანელისა), და - **ფოლკლორის ცენტრის არსებულ თანამშრომელთაგან არცერთს!**

ჩვენი შეფასებით, საბჭოში სათანადო კადრები ორი მიზეზით არ მოიწვიეს: ნაჩქარევი მოქმედებების დროს ვერ მოასწრეს კომუნიკაცია ან გამორჩათ (ფოლკლორის სხვა დარგების მოღვაწეები, ავსტრალიაში მყოფი ჩვენი კოლეგები) უშიკიშვილთან თანამშრომლობის პრაქტიკის მქონეები, რომელთაც კანდიდატურის განხილვის გამო შესაძლოა პრობლემები შეექმნათ (ნატალია ზუმბაძე, თამაზ გაბისონია, დავით შუღლიაშვილი).

არ გავამახვილებთ მეტ ყურადღებას საბჭოს წევრთა უმეტესობის ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან ახლობლობის შესახებ და დავასკვნით, რომ **საბჭოს მოცემული შემადგენლობა დაუბალანსებლობით გამოირჩევა.**

საინტერესოა, რომ ამ საბჭოს უმეტესად „ბორდით“ მოიხსენიებენ, რითაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდთან ასოციაციაზე მიენიშნება. მაგრამ ასოციაცია მხოლოდ სახელით შემოისაზღვრება. ახალმიღებული დებულებით არ არის გაწერილი საბჭოს დაკომპლექტების, სხდომების დანიშვნის, წარმართვის რეგლამენტის, გამჭვირვალობის შესახებ. აღნიშნულია მხოლოდ, რომ „სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც და უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, ხოლო ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა“. არაფერია ნათქვამი, თუ როგორ ხდება კანდიდატის დასახელება, განხილვა, არჩევა. სამაგიეროდ აღნიშნულია: „სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურებს განსაზღვრავს საბჭო“. ამგვარად, **სამეთვალყურეო საბჭოს პროცედურული გაუმართაობა იძლეოდა მისი არაეფექტური და დაუბალანსებელი მუშაობის პირობებს.**

და მართლაც, მხოლოდ საბჭოს წევრთათვის განდობილ დროს ჩატარებული სამი სხდომის განმავლობაში არ განხილულა ფოლკლორის ცენტრის სტრატეგიული მიმართულების საკითხები და არც კანდიდატურების მიერ წარმოდგენილი კონცეფცია, გარდა ერთისა - თამაზ გაბისონიას მიერ წარდგენილისა. მას ჰქონდა ასევე მხარდაჭერის წერილი მელბურნიდან იოსებ ჟორდანიასგან (შეიძლება ჩაითვალოს, რომ მისი კანდიდატურა თავდაპირველად სწორედ იოსებ ჟორდანიას მიერ იყო წამოყენებული). ასევე თამაზ გაბისონიამ, ნინო მახარაძემ და ამირან არაბულმა წარადგინეს სივიც და განცხადებაც.

კანდიდატების წარდგენის უფლება, დაუწერელი კანონით, ჰქონდათ მხოლოდ საბჭოს წევრებს (კიდევ ერთი არსობრივი განსხვავება „საზმაუს“ ბორდისაგან). ხუთი კანდიდატისგან ამირან არაბული წარადგინა ფოლკლორის საბჭოს გარკვეულმა ჯგუფმა, თამაზ გაბისონია - მაყვალა გონაშვილმა, ხოლო გიორგი დონაძე - სვიმონ ჯანგულაშვილმა. ნინო მახარაძემ და თემურ ქევხიშვილმა თავად წარადგინეს საკუთარი თავი კანდიდატად (ამ უკანასკნელმა - საკმაოდ ემოციურ გარემოებებში), მოიხსნეს რა სამეთვალყურეოს საბჭოს წევრობის პასუხისმგებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ პიროვნებებიდან უმეტესს არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული და კომპეტენციის მაღალი დონითაც გამოირჩევიან.

საინტერესოა, რომ კომენტარს მიმდინარე მოვლენებზე არ აკეთებს მუსიკოლოგიის დოქტორი, ფოლკლორისტი გია ბაღაშვილი, მედიაში მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზატორი, ყველასთვის ცნობადი სახე, რომელიც ბევრის მიერ ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მოიაზრებოდა ბატონ ანზორთან ახლო ურთიერთობის გათვალისწინებითაც. იმიტომ ხომ არა, რომ ბატონი ანზორის არჩევანი გიორგი დონაძის სახით მისთვისაც მიუღებელია?

და რატომ არ შეაჩერა არჩევანი ბატონმა ანზორმა გია ბაღაშვილზე? რატომ ამჯობინა მას ლოტბარი გიორგი დონაძე? ეს სუბიექტური მოტივია და ჩვენი საქმე არ არის. მაგრამ არსებობს ობიექტური ფაქტორებიც: გარდა აშკარა სალოტბარო და ადამიანური ღირსებებისა, გამოვყოფდით გიორგი დონაძის კანდიდატურის სხვა მოტივებსაც: იგი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის გუნდის წევრია და მისი „ბასიანიც“ საპატრიარქო გუნდის ტიტულს ატარებს; ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გიორგი დონაძე არა მხოლოდ ბატონი ანზორის მხარდაჭერით სარგებლობს, არამედ - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი იერარქისაც. გავიხსენოთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოში ირიცხებოდა და მონაწილეობას იღებდა მეუფე იაკობი, რომლის კომპეტენცია ქართული ფოლკლორის სფეროში ჩვენთვის უცნობია. იქნებ სწორედ ამით განისაზღვრება გიორგი დონაძის კანდიდატურის უპირატესობა გია ბაღაშვილისაზე?

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი დონაძე ფონდ „ქართული გალობის“ პროგრამების ხელმძღვანელია სიმონ ჯანგულაშვილთან, საპატრიარქო გუნდის უფროსთან ერთად, ამ ფონდში ანზორ ერქომაიშვილი საბჭოს წევრია ლექსო თორაძესთან ერთად; გიორგი დონაძეს სხვა მხრივაც უწევს ახლო ურთიერთობა ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან. იგი საეკლესიო გალობის უნივერსიტეტში ბატონ ანზორის ერთ-ერთი თანაშემწე პედაგოგია. მავანი იკითხავს: თუ მათი ურთიერთობა უკვე აპრობირებულია, განა ეს კანდიდატურისთვის დამატებითი დადებითი მოტივი არ არის?

მაგრამ სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია ფოლკლორის ცენტრის მონიტორინგია და საბჭოს ხელმძღვანელის აშკარად გამოკვეთილი ფავორიტი, ჩემი აზრით, ინტერესთა კონფლიქტზე მიანიშნებს...

შენიშვნა ბატონ გიორგი დონაძის მენეჯერული უნარების შესახებ: ანსამბლ „ბასიანის“ წარმატება (მას ახლახან სახელმწიფო ანსამბლის წოდება მიენიჭა) უდავოდ მისი მუსიკალური და ორგანიზატორული უნარების შედეგია (თუმცა ვერ გამოვრიცხავთ საპატრიარქოს და ბატონ ანზორის სიტყვის შეწევნასაც). რაც შეეხება მის მოღვაწეობას „ახალგაზრდა ლოტბართა და ფოლკლორისტთა საზოგადოებაში“ (სახელის ზუსტ ვერსიას ვერ ვიხსენებ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი), ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი, ხოლო ხელახლა აღორძინებულ „ქართული გალობის ფონდმა“, ბატონ ვანო ჩხარტიშვილის ქველმოქმედებით თავისი უდავოდ მნიშვნელოვანი ექვსი, ძირითადად საკონცერტო პროექტიდან მხოლოდ ერთი მიუძღვნა ქართულ საეკლესიო გალობას, მხედველობაში გვაქვს ანსამბლ „შავნაბადას“ მიერ წირვის საგალობლების სასწავლო დისკის გამოცემა. აქ „ქართული გალობის ფონდი“ თანადამფინანსებელი იყო, ისევე - როგორც ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტისა და დისკის წარდგენისა. ჩვენი აზრით, **ბატონი გიორგი დონაძის აშკარა მენეჯერული თვისებები საზოგადოებისთვის არც თუ ისე ცნობილია და მასზე აქცენტის გაკეთება ჯერ მხოლოდ ავანსია.**

აქვე გვინდა ვუპასუხოთ მათ, ვინც აცხადებს, რომ არაა აუცილებელი, ფოლკლორის ცენტრი ფოლკლორისტმა მართოს. ცხადია, ფოლკლორის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ვაცნობიერებთ, რომ შესაძლებელია ცენტრის მართვისას კარგ მენეჯერს უფრო მეტი მიღწევა ჰქონდეს, ვიდრე - მართვის უუნარო ფოლკლორისტს. ამიტომ ჩვენ მომხრე ვართ, **კანდიდატად დასახელდეს მენეჯერული გამოცდილების მქონე პიროვნება, რომელსაც კონსულტანტად გამოცდილი ფოლკლორისტი ეყოლება** (ასე იყო გიორგი უშიკიშვილისა და ნატალია ზუმბაძის, ასევე - ცენტრის სხვა ფოლკლორისტთა ურთიერთობისას). მაგრამ ეს **მენეჯერული უნარი მას ავანსად არ უნდა მიეცეს.**

სხვათა შორის, სავსებით შესაძლებელია შებრუნებული ვარიანტიც: **დაინიშნოს დირექტორად ფოლკლორისტი, ხოლო მის კონსულტანტად - გამოცდილი მენეჯერი.** რატომაც არა?

ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის **მიუღებელია ის აზრიც, თითქოს მენეჯერული თვისებების ქონა და გამოცდილი ფოლკლორისტობა დღევანდელ საქართველოში შეუთავსებელი ცნებებია.**

საბჭოს სხდომების დახურულ რეჟიმში წარმართვამ და შემადგენლობის ცალმხრივობამ ფოლკლორულ საზოგადოებაში გარკვეული ემოციული რეაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით მტკივნეული იყო არსებული სიტუაცია ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლებისათვის, რომლებიც, არცთუ უსაფუძვლოდ, მიიჩნევდნენ, რომ **მათი სრული იგნორირება საბჭოს მხრიდან არაადეკვატური საქციელი იყო.**

მინდა ხაზი გავუსვა ჩვენს ერთ პრინციპულ პოზიციასაც: როდესაც ადამიანის ან ჯგუფის მოსაზრებებს საჯაროდ უკეთებენ იგნორირებას, ამასთან, ამ ჯგუფს კომპეტენციით და მენეჯერული თვისებებით სხვებისგან გამოურჩეველ პიროვნებას უყენებენ სათავეში, **მათ არ უნდა ვუსაყვედუროთ მინისტრის კანდიდატის დამტკიცებამდე ლეგიტიმური პასუხის უფლების გამოყენება და არ უნდა დავადანაშაულოთ ისინი „საერთო მშვიდობის“ დარღვევაში.**

პროტესტი ნაწილობრივ გამოწვეულია იმ მომავალი სავარაუდო პოლიტიკითაც, რაც მოსალოდნელია აკადემიურ ანსამბლთა შორის მიღებული ხაზგასმული ესთეტიზაციის პლატფორმისგან (ავთენტიკურობაზე ნაკლები აქცენტით). მართლაც, ავთენტიკური შესრულების პრიორიტეტი აკადემიზმთან მიმართებაში, ერთ-ერთი არც თუ გახმაურებული კრიტიკული დამოკიდებულების საგანი იყო ფოლკლორის ცენტრის არსებული გუნდის მიმართ. ჩვენი მხრიდან უნდა ითქვას, რომ აკადემიზმსაც და ავთენტიკურობასაც თავისი სივრცე აქვს, ისევე როგორც პარაფოლკლორულ მიმართულებებს. თუმცა, ჩვენი აზრით, ფოლკლორის ცენტრი სწორედ ადგილებზე ავთენტიკური, ფუძისეული მიმართების აღორძინებით უნდა ხელმძღვანელობდეს.

სამწუხაროა, რომ ამ დაპირისპირების ორივე მხრიდან ცალკეული პიროვნებების მიერ გამოყენებული იყო ცინიზმის და შეურაცხყოფის ელემენტები. ცენტრის მხარე მოწინააღმდეგეს ბრალს სდებს არაკომპეტენტურობასა და უპატივცემულობაში, ხოლო გიორგი დონაძის მომხრეები - პროტესტის გამომთქმელებს - ბატონ ანზორ ერქომაიშვილის პირად შეურაცხყოფასა და უშიკიშვილის მომხრეობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ბოლო ბრალდება აშკარად უსაფუძვლოა, რადგან პროტესტი წარმოიშვა არა უშიკიშვილის მოხსნის ფაქტთან დაკავშირებით, არამედ ცენტრის იგნორირების და მათთვის მიუღებელი კანდიდატის წამოყენებისას.

განსაკუთრებით გულსატკენია, რომ დაპირისპირებაში ძირითადი აქცენტი ბატონ ანზორ ერქომაიშვილის სახელის ხშირ ხსენებაზე კეთდება. ეს ყველასთვის დიდი ავტორიტეტის და სიკეთით აღსავსე პიროვნება, ჩვენი აზრით, იმსახურებს იმას, რომ მისი კოლეგიალური პრიორიტეტების გამო დავა, მისი პიროვნული ღირსებების შესახებ მსჯელობას ასცდეს, თუნდაც მკაცრი კრიტიკისას. ამასთან, არც ფოლკლორის ცენტრის თანამშრომელთა „სატანიზაცია“ უნდა მოხდეს თუნდაც ერთი წამოცდენილი სიტყვის გამო (მათ შორის - ქართული კულტურის ცნობილ მოღვწეთა მხრიდან, უაპელაციოდ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით).

მოკლედ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს მოსაზრებებს - ფოლკლორის ცენტრის დირექტორის პოსტთან დაკავშირებულ მოვლენებში დაშვებული იყო შემდეგი შეცდომები და უყურადღებობები:

- გიორგი უშიკიშვილის მოხსნისას არა თუ უგულებელყოფილ იქნა მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ფოლკლორის ცენტრის მუშაობის დადებითი მხარეები, არამედ იგი მხოლოდ უარყოფით კონტექსტში იქნა შეფასებული;

- ფოლკლორის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა მხოლოდ დღეს არსებული სუბიექტური მოტივებით იყო განპირობებული;

- სამეთვალყურეო საბჭო შემადგენლობის აშკარა დაუბალანსებლობით გამოირჩეოდა;

- სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა სრულიად გაუმჭვირვალე იყო საზოგადოებისთვის;

- საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატი გიორგი დონაძე მიუღებელი აღმოჩნდა ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლებისათვის, მისი არასაკმარისი კომპეტენციის გამო, საბჭოს მიერ ცენტრის თანამშრომელთა მოსაზრების სრული იგნორირების ფონზე.

მოვლენათა განვითარების მიმართულება, საუკეთესო გამოსავლის მხრივ, ჩვენი აზრით, შემდეგია:

რადგან გიორგი დონაძისთვის დღეს-დღეობით პრობლემატური უნდა იყოს ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლებთან ურთიერთობა, იქნებ მოხდეს ყველა კანდიდატის შეხვედრა ერთ მაგიდასთან; მეგობრულ ატმოსფეროში განხილვა ორივე მხრიდან გამოთქმული მოსაზრებების მართებულობისა, და შეთანხმება, რომ მაქსიმალურად გაუფრთხილდებიან ერთმანეთთან ურთიერთობას, რათა მომავალშიც შეუფერხებლად განაგრძონ თანამშრომლობა.

რაც შეეხება კულტურის მინისტრის საბოლოო გადაწყვეტილებას, ჩვენი ღრმა რწმენით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი მიღებულ უნდა იქნას ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლებთან, ასევე კანდიდატებთან შეხვედრის შემდეგ.

ჩვენი ღრმა რწმენით, სამეთვალყურეო საბჭო ან უნდა გაუქმდეს, ან მისი შემადგენლობა უფრო დაბალანსებულით შეიცვალოს.

მოვუწოდებთ კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს, დღევანდელი მზარდი დემოკრატიული პროცესების ფონზე, ნუ მიიღებენ აშკარად დახურულ, ერთპიროვნულ, მხოლოდ ერთი მხარის ინტერესების დამადასტურებელ გადაწყვეტილებას.

ყველა ჩვენს კოლეგას და ამ მოვლენებში ჩართულ პირებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი მოსაზრებები კულტურული, ეთიკური ურთიერთობის ნორმებში გამოთქვან.

ზაზას სეზონი

ზურა თალაკვაძე

NBA დაუნდობელი უბანია. 11 სეზონი ამ უბანში უნდა დაიმსახურო. 11 სეზონით ამერიკულ ლიგაში არ დაგტოვებენ, თუ ნამდვილად საჭირო არ ხარ. ამერიკული ექსკურსია დაიწყო ორლანდოში. ფლორიდას დავემშვიდობეთ და გადავედით მილუოკიში. ჩვეულებრივი ქალაქი ჩვეულებრივი „ბაქსით“ და მილუოკიც წარსულში გადავკეცეთ. დაიწყო ახალი ეტაპი, ატლანტა. იქ, სადაც იმედები იმსხვრევა. იქ, სადაც დომინიკ უილკინსი იგებდა, აგებდა და მოგებულიც წაგებული იყო. იქ, სადაც სპად უები ხორციანად ატენიდა ყველას, ვისაც მისწვდებოდა. იქ, სადაც ილია კოვალჩუკმა ბევრი ფული იშოვა. იქ, სადაც „ჰოქსის“ ფრენჩაიზია. იქ რვა სეზონით დავრჩით და იმ რვა სეზონში ბევრი მოვასწარით. ორმაგი დუბლები, რამდენიმე გამომწვევი ჟესტი და კევინ გარნეტის ცხვირზე საკუთარი ცხვირის მიდება. ატლანტაში ტერი სტოტსი და მაიკ ვუდსონი ლექციებს გვიკითხავდნენ და ატლანტაში თითქმის ვერაფერი ვერ მოვიგეთ. მწვრთნელებს ის ნიჭი უკეთ რომ გამოეყენებინათ, „ჰოქსი“ აღმოსავლეთის ფინალის პერმანენტული წევრი იქნებოდა. და გახდა პერმანენტული იმედგაცრუება ატლანტელებისთვის, მოთამაშეებისთვის და მწვრთნელებისთვის. ალბათ, კლუბის მფლობელებისთვის. ალბათ, ნეიტრალური გულშემატკივრისთვისაც.

ეს იყო ჩვენი ვოიაჟის ბოლოსწინა გაჩერება და დავბრუნდით მილუოკიში. ზაზა ფაჩულიას ბოლო გაჩერება. ვეტერანი ძველ, ჩვეულებრივ ქალაქში დაბრუნდა.

ფაჩულია ყველა გუნდში საჭიროა. თითო ზაზა ყველგან უნდა იყოს. იცი, რომ ხუთეულში დადგება ტიპი, რომელიც არ არის ქარიმი ან შაკი, მაგრამ რომელიც ცვლის ქარიმებს და შაკებს. ზაზას დროს ქარიმი უკვე საბავშვო ბაღის დამრიგებელი იყო და შაკთან ჩვენი ბიჭიც იღლებოდა, ცდილობდა, კლდეს მისწოლოდა და ეს კლდე დაეძრა. ფაჩულიამ ძალიან კარგად დაიწყო ეს რეგულარული და მისი სეზონი ტრავმამ გააჩერა. კარგი, სტაბილური, ზაზასთვის და ზაზასგან კლასიკური სეზონი. „ბაქსმა“ ჩვენი ბიჭისგან თავისი 6.9 ქულა (კარიერით - 6.8), 6.5 მოხსნა (კარიერით - 5.5), 1.8 შედეგიანი გადაცემა (კარიერით - 1.1) მიიღო. ფაჩულიამ პრობლემების მოგვარება დაიწყო და „ბაქსის“ პრობლემა სიმაღლის დეფიციტი იყო. ლარი სანდერსმა ძველბიჭობა დაიწყო და ლარის ყური აუწიეს. სანდერსი ვერ თამაშობდა, ტრავმით და „მილუოკის“ ბოსების საყვედურით ისვენებდა და ძირითადი ცენტრი ფაჩულია გახდა. ზაზა ამ როლში ადრეც შევიდა და ფაჩულიამ იცის, თუ რამდენად პრესტიჟულია თამაშის დაწყება. ზაზამ ბევრი პროცენტით გამოიყენა შანსი და ფაჩულიამ მოუმატა. ზაზა მოსალოდნელზე კარგი, სტაბილური იყო. შემდეგ მოვიდა ტრავმა და ყველაფერი გააფუჭა. ფაჩულიას შემდეგ „მილუოკიმ“ სხვებიც გაცენტრა და ფაჩულიაზე უკეთ ვერავინ ვერ ითამაშა. ეპიზოდურად ყველას აქვს პრობლემები და „მილუოკის“ პრობლემები უფრო ღრმად მიდის, უფრო სიღრმიდან მოდის. გუნდი ნორმალური ცენტრის გარეშე დარჩა და გუნდმა არ იცის მოგება. „მილუოკი“ აღმოსავლეთში ყველაზე სუსტი გუნდია. თუ აღმოსავლეთი დასავლეთზე გაცილებით სუსტი კონფერენციაა, მაშინ „მილუოკი“ ლიგის ყველაზე სუსტი გუნდიც გამოდის. ფაჩულია ჯერ ვერ თამაშობს.

ზაზა ფაჩულია ამ სეზონში საუკეთესო ქართველი კალათბურთელია. ზაზა სტაბილურია და სხვები ერთ დონეზე ვერ რჩებინა. ფაჩულია გამოირჩევა და ზაზა პირველია. ეს ვიცოდით, ეს ვიცით, ეს გვეცოდინება. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ფაჩულია არ გვყავდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და იქ ზაზას გარეშე პრობლემები შეგვექმნა. შეიძლება ეს პრობლემები ყოფილიყო ზაზასთან ერთადაც, მაგრამ ევროპაში ფაჩულია ჩანს და ევრობასკეტის ამბებში ზაზას ერიდებიან. როგორ ფორმაშიც უნდა იყოს, ფაჩულია არ დაგაღალატებს. შეიძლება თამაში არ გამოუვიდეს, მაგრამ ზაზა ზედმეტს არ გააკეთებს.

ფაჩულია წელს - 6.8 ქულა, 6.5 მოხსნა, 1.1 პასი, 0.9 ჩაჭრა, 0.3 დაფარება.

ფაჩულია კარიერით - 6.5 ქულა, 5.5 მოხსნა, 1.0 პასი, 0.9 ჩაჭრა, 0.3 დაფარება.

„მილუოკი“, სავარაუდოდ, ვერ გავა ფლეი ოფში. „ბაქსი“ იქ ზედმეტია, მაგრამ „მილუოკის“ არც უმართლებს. რამდენიმე მოგებული თამაში გუნდმა უსამართლოდ წააგო და „ბაქსი“ სუსტი აღმოსავლეთის ყველაზე სუსტი კლუბია. 6 მოგება, 24 ვერმოგება და ბოლო ადგილი დივიზიონში, კონფერენციაში, ლიგაში, საკალათბურთო გალაქტიკაში. „მილუოკიში“ არიან კარგი ბიჭებიც, მაგრამ ისინიც იღლებიან.

ლიგა გაკვირდება, ლიგამ გაგიცნო და ლიგამ იცის, რომელ წვეულებაზე მიგიწვიოს. ლიგა თავის იმიჯს უფრთხილდება და ლიგამ იცის, რომ, ადრე თუ გვიან, შენ, არალებრონი და არადიურანი, მაინც საჭირო გახდები. ლიგამ ყველა შეისწავლა. ლიგამ იცის, რომ სულ იმ ვიწრო ბილიკზე უნდა იაროს და არსად არ უნდა გადაუხვიოს, თორემ სადმე ჩაიჩეხება და იქიდან ვერ ამოვა. ლიგამ ზაზა ფაჩულია ბევრი წლის წინ მიიღო, დააკვირდა, ზაზას პლუსები მოინიშნა და ლიგა ზაზას თავის როლს ყოველთვის მისცემს. ლიგამ ეს იცის. ეს მისი სტილია. ზედმეტი არავინ არ უნდა იყოს. ყველას თავისი როლი აქვს. და ამ როლში ყველა ბოლომდე უნდა შევიდეს. ან მას დაიწუნებენ.

ზაზამ იცის, რომ საჭიროა და ფაჩულიამ თავისი პლუსები შეინახა. როცა საჭირო იქნება, გახდება, ამ პლუსებს მიხედავს, მერე ისევ გადაკეცავს და შეინახავს.

ადრე, „ორლანდოში“, ზაზა სიტუაციას ეჩვეოდა და დიდ ბიჭებთან საუბარს შეეჩვია.

მერე „მილუოკიში“ მოხვდა, ზაზამ სხვასაც გაარტყა და ფაჩულიამ აკლიმატიზაცია გაიარა. ბოლომდე გაიარა და ზაზას ახალი ხელშეკრულება გაუფორმეს.

ეს ხელშეკრულება წამოვიდა „ატლანტასგან“, სადაც, ზაზას გარდა, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა შეკრიბეს და იმ გუნდმა კინაღამ გამოაგდო იმ წლის (2008) მომავალი ჩემპიონი, პოლ პირის, რეი ალენის, კევინ გარნეტის და რაჟონ რონდოს „ბოსტონი“.

დღეს ზაზა მილუოკიში დაბრუნდა. ატლანტაში რესტორანი დარჩა. მილუოკიში ოჯახი ჰყავს. ფაჩულია ერთი და ბევრია და ზაზა ყველაფერს უნდა ეყოს. ალბათ, ეყოფა.

ვიცით, რომ NBA დაუნდობელი უბანია. 11 სეზონი ამ უბანში უნდა დაიმსახურო. 11 სეზონით ამერიკულ ლიგაში არ დაგტოვებენ, თუ საჭირო არ ხარ. ამერიკული ექსკურსია დაიწყო ორლანდოში. ფლორიდას დავემშვიდობეთ და გადავედით მილუოკიში. ჩვეულებრივი ქალაქი ჩვეულებრივი „ბაქსით“ და მილუოკიც წარსულში გადავკეცეთ. დაიწყო ახალი ეტაპი, ატლანტა. იქ, სადაც იმედები იმსხვრევა. იქ, სადაც დომინიკ უილკინსი იგებდა, აგებდა და მოგებულიც წაგებული იყო. იქ, სადაც სპად უები ხორციანად ატენიდა ყველას, ვისად მისწვდებოდა. იქ, სადაც ილია კოვალჩუკმა ბევრი ფული იშოვა. იქ, სადაც „ჰოქსის“ ფრენჩაიზია. იქ რვა სეზონით დავრჩით და იმ რვა სეზონში ბევრი მოვასწარით. ორმაგი დუბლები, რამდენიმე გამომწვევი ჟესტი და კევინ გარნეტის ცხვირზე საკუთარი ცხვირის მიდება. ატლანტაში ტერი სტოტსი და მაიკ ვუდსონი ლექციებს გვიკითხავდნენ და ატლანტაში თითქმის ვერაფერი ვერ მოვიგეთ. მწვრთნელებს ის ნიჭი უკეთ რომ გამოეყენებინათ, „ჰოქსი“ აღმოსავლეთის ფინალის პერმანენტული წევრი იქნებოდა. და გახდა პერმანენტული იმედგაცრუება ატლანტელებისთვის, მოთამაშეებისთვის და მწვრთნელებისთვის. ალბათ, კლუბის მფლობელებისთვის. ალბათ, ნეიტრალური გულშემატკივრისთვისაც.

ეს იყო ჩვენი ვოიაჟის ბოლოსწინა გაჩერება და დავბრუნდით მილუოკიში. ზაზა ფაჩულიას ბოლო გაჩერება. ვეტერანი ძველ, ჩვეულებრივ ქალაქში დაბრუნდა.

ზაზა ჯერ ისვენებს და ფაჩულია 2013-ში საქართველოს საუკეთესო კალათბურთელი იყო.

ეს ასპროცენტიანია.

კაშიას თქმით, „ვიტესს“ ერთი თავდამსხმელი სჭირდება

არნემის „ვიტესის“ ქართველი კაპიტნის, გურამ კაშიას თქმით, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახლახან 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, არნემულ კლუბს აუცილებლად სჭირდება ერთი თავდამსხმელი. საქმე ის არის, რომ მიკე ჰავენაარი დაშავებულია.

„როცა ჰავენაარი დაშავდა, ცხადი გახდა, რომ ვინმეს დამატება იყო საჭირო. იმედია, კლუბი ასეც მოიქცევა. ჰავენაარის ადგილზე ჭანტურია ათამაშეს, მაგრამ გიორგი ფლანგიდან უფრო ძლიერია“.

...“ვიტესს“ იანვარში ბუნდესლიგის ორ კლუბთან - „ჰამბურგთან“ და „ვოლფსბურგთან“ ამხანაგური მატჩები აქვს.

დვალიშვილის მსგავსი ადრე რომ გვყოლოდა...

ლადო დვალიშვილის ვარშავის „ლეგიამ“ სეზონის პირველი ნახევარი პოლონეთში პირველ ადგილზე დაასრულა. ლადოს სტაბილურად გააქვს გოლები და ბომბარდირთა დავაშიც გაერია.

თუმცა, გუნდსაც და ქართველ ლეგიონერსაც ხშირად აკრიტიკებენ.

პოლონურმა გამოცემა „ინტერიამ“ გამოაქვეყნა ვრცელი ინტერვიუ „ლეგიას“ პრეზიდენტ ლესნადორსკისთან, რომელშიც ის დვალიშვილზეც საუბრობს.

„დვალიშვილის მსგავსი თავდამსხმელი აქამდე რომ გვყოლოდა, ევროპის ლიგაზე სულ სხვა შედეგი გვექნებოდა“, - ამბობს ლესნადორსკი.

ცხადაძის აზრით, საქართველოს ნაკრებთან დაკავშირებით მისი სახელის ხსენება შორსაა სინამდვილისგან

ბაქოს „ინტერის“ ქართველმა მწვრთნელმა კახაბერ ცხადაძემ „აზერიფუტბოლს“ მისცა ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც ის, შიდა ჩემპიონატზე შეფასების გარდა, საქართველოს ნაკრებზეც საუბრობს. უფრო სწორად, მოარულ ხმებზე, რომლის თანახმად, ცხადაძის სახელს საქართველოს ნაკრებს უკავშირებენ: „საქართველოს ნაკრებს ჰყავს მწვრთნელი თემურ ქეცბაია, რომელსაც პატივს ვცემ. ძალიან სამწუხაროა, რომ მას პრობლემები ჰქონდა ნაკრებში და ეს გასაჯაროვდა. თუმცა ვიცი, რომ ყველაფერი მოგვარდა. ქეცბაიას წარმატებას ვუსურვებ, ის ხმები კი შორს იყო სინამდვილისგან.

ეგეც არ იყოს, „ინტერს“ შუა სეზონში როგორ დავტოვებ! „ინტერი“ ჩემთვის თითქმის ოჯახია და ეს ცარიელი სიტყვები არ არის“.

ბოატენგს თავს დაესხნენ

განის ეროვნული ნაკრებისა და გელზენკირხენის „შალკეს“ ნახევარმცველს, კევინ-პრინს ბოატენგს დიუსელდორფის მახლობლად, ქალაქ კარსტის ერთ-ერთ ქუჩაზე, უცნობი ადამიანი დაესხა თავს და ფიზიკური დაზიანებები მიაყენა, რომლის შედეგად ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

26 წლის ფეხბურთელს ნეკნის, ზურგისა და კისრის ტრავმები აქვს მიღებული.

„25 დეკემბერს ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი მოხდა. სავარაუდოდ, თავდასხმის მიზეზი მხარეებს შორის პირადი უთანხმოება იყო. მამაკაცმა მსუბუქი სახის დაზიანებები მიიღო. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება“, - ერთგვარ პრესრელიზს აქვეყნებს კარსტის პოლიცია.

ბოატენგი ბუნდესლიგაში გასულ ზაფხულს დაბრუნდა, როდესაც „მილანიდან“ „შალკეში“ 12 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა.

„ტოტენჰემის“ შესაძლო მწვრთნელთა შორის დიეგო სიმეონეც სახელდება

Football Espana-ს ცნობით, ლონდონის „ტოტენჰემში“ ახლანდელი მთავარი მწვრთნელის ტიმ შერვუდის შემცვლელს ეძებენ. მთავარი მწვრთნელის სავარაუდო კანდიდატთა შორის ასახელებენ მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელ დამრიგებელს დიეგო სიმეონეს, ასევე ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ლუი ვან გაალს.

რიბერი „ოქროს ბურთზე“ არ დარდობს

მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი „ოქროს ბურთის“ მოგების პრეტენდენტთა შორის ყოფნით ბედნიერია.

რიბერის თქმით, თუ „ოქროს ბურთი“ სხვას დარჩება, დიდად არ ეწყინება: „მოვიგებ „ოქროს ბურთს“ თუ არა, მაინც ბედნიერი ვიქნები. მე პრეტენდენტთა შორის ყოფნაც მიხარია.

„ბაიერნმა“ მოიგო ყველა ტიტული, რისი მოგებაც შეიძლებოდა და ამ წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანე. ვნახოთ, რა იქნება 13 იანვარს“, - თქვა რიბერიმ.

„ბარსელონა“ მესისთან ახალ ხელშეკრულებას ამზადებს

„ბარსელონა“ არგენტინელ თავდამსხმელ ლიონელ მესისთან ახალი ხელშეკრულების თაობაზე ინფორმაციას 2014 წლის დასაწყისში გაახმოვანებს.

ხელშეკრულება კი მაშინ გაფორმდება, როცა მესი მკურნალობას დაასრულებს და არგენტინიდან დაბრუნდება.

Sport.es-ის ცნობით, ხელშეკრულების ვადა არ შეიცვლება და კვლავ 2018 წლამდე დარჩება ძალაში. ცვლილებები მხოლოდ ფინანსურ მხარეს შეეხება.

ამბობენ, რომ არგენტინელის ხელფასი წელიწადში 20-დან 25 მილიონ ევრომდე უნდა გაიზარდოს.

წითელი ბარონი სიცოცხლისთვის იბრძვის

გიგა გურასაშვილი

კვირადღე მსოფლიო სპორტის ისტორიაში ლამის ტრაგედიით დასრულდა. ფორმულა 1-ის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა საფრანგეთის სამთოსათხილამურო კურორტ მერიბელში სრიალისას თავის მძიმე ტრავმა მიიღო და კომაში ჩავარდა.

თვითმხილველთა თქმით, ლეგენდარული სპორტსმენი სრიალისას დაეცა და თავი ქვას დაარტყა. მომხდარიდან რვა წუთში წითელი ბარონი სამედიცინო შვეულმფრენით მუტეს ჰოსპიტალში გადაიყვანეს, იქიდან კი - გრენობლში.

როგორც გაირკვა, შუმახერი ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად კომაში ჩავარდა. საჭირო გახდა სასწრაფო ოპერაცია. ბოლო მონაცემებით, შუმახერი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

მომხდარის შემდეგ გერმანელი მრბოლის მენეჯერმა შუმახერის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ოფიციალური განცხადება გაავრცელა.“საფრანგეთის ალპებში თხილამურებით სრიალისას მიხაელმა თავი ქვას დაარტყა, - GP Update შუმის მენეჯერის საბინა კემის სიტყვებს იშველიებს. - ის სასწრაფოდ გადაიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც კვალიფიციური შემოწმება გაიარა. მიხაელს დამცავი ჩაფხუტი ეხურა. ინციდენტში სხვა არავინ ყოფილა ჩართული“.

მომხდარს უმალ გამოეხმაურნენ შუმახერის კოლეგები. „რედ ბულის“ მრბოლმა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, გერმანელმა სებასტიან ფეტელმა მიხაელს თავის „ტვიტერზე“ მალე გამოჯანმრთელება უსურვა: „მიხაელ, დროა ყველაზე მნიშვნელოვანზე გაიმარჯვო! შენ ეს შეგიძლია. შენ შესანიშნავი ოჯახი გყავს, რომელსაც ძალიან სჭირდები! ჩემთვის მიხაელი განსაკუთრებული ადამიანია. ის ჩემი ბავშვობის გმირია“.

შუმახერზე საუბრობს მისი ყოფილი თანაგუნდელი „ფერარიდან“, ბრაზილიელი ფელიპე მასა: „ჩემო ძმაო, შენთვის ვლოცულობ! იმედია, მალე გამოჯანმრთელდები! გფარავდეს უფალი!“

ჰოსპიტალში ოჯახის წევრებთან ერთად მივიდნენ წლების განმავლობაში „ფერარის“ ხელმძღვანელი, დღეს კი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი ჟან ტოდტი, სკუდერიული საჯინიბოს ყოფილი ტექნიკური დირექტორი და შუმის ახლო მეგობარი როს ბრაუნი...

გუშინ მასმედიის წარმომადგენელთათვის ჩატარდა საგანგებო ბრიფინგი, რომელზეც ექიმებმა წითელი ბარონის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისაუბრეს.

„საუბარია თავის ტვინის სერიოზულ ტრავმაზე, - ამბობენ ექიმები. - სამწუხაროდ, ტვინი დაზიანებულია. მიხაელი კრიტიკულ მდგომარეობაშია. ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შესაძლებელია, მაგრამ გამოკეთდება თუ არა, ამაზე ჯერ ვერ გიპასუხებთ. პროგნოზები ნაადრევია. წნევა დავუგდეთ და ხელოვნურ კომაში გადავიყვანეთ.

მეორე ოპერაციის საჭიროებას ვერ ვხედავთ. ჩაფხუტი რომ არა, ის ცოცხალი არ იქნებოდა. თუ გადარჩა, ეს დიდწილად ჩაფხუტის დამსახურება იქნება. შუმახერი სპორტსმენია, რამაც მის ორგანიზმს სიცოცხლისთვის ბრძოლაში ხელი უნდა შეუწყოს“.

რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელის, ანესთეზიოლოგ ჟან-ფრანსუა პაიენის განმარტებით, შუმახერი სიცოცხლისთვის იბრძვის: „მიხაელ შუმახერის მომავალთან დაკავშირებით ჯერ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ის კრიტიკულ მდგომარეობაშია. გადაიტანა მხოლოდ ერთი ოპერაცია (მანამდე ორ ოპერაციაზე იყო საუბარი). შედეგებზე ჯერ ვერაფერს ვიტყვით. უბრალოდ, იმას ვაკეთებთ, რაც საჭიროა. რომ არა ის ჩაფხუტი, ვეჭვობთ, ამდენ ხანს გაეძლო“.